ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 23 – 24 დეკემბერი, 2017

№304 (7539)

ფასი: 50 თეთრი

## „ბაღებში გადასახადის ოდენობას მთავრობა დაადგენს“

თინა ხიდაშელი: „ბაგა-ბაღებთან დაკავშირებით გიორგი კვირიკაშვილის განცხადება დაუსაბუთებელი, ულოგიკო და არასწორია“



გვ.6

## 15 დეკემბრიდან




რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

# სუსმა ზაზა მაჩალაძე, ირაკლი ბერიშვილი, დავით ბერიშვილი, ვაჟა კვარაცხელია და თემურ დათიკაშვილი დააკავა – მათ კალათბურთის მატჩების ჩაწყობა ბრალდებათ



გვ.4

## შალვა ხაჭაპურიძე: „ნაციონალურ მოძრაობას ქურდული მენტალიტეტი არ მოუკლავს“

## „ამაზე მეტი რაღა უნდა მოხდეს?! ყოველდღე თითო ბავშვს კლავენ!“



გვ.2

## დავით ზურაბიშვილი: „არცერთ დემოკრატიულ ქვეყანაში სასიამოვნო ოპოზიცია არავის ჰყავს“



გვ.2



გვ.3

## „ნაციონალების მთავარი მფარველი კვირიკაშვილია“

ლადო სადღობელაშვილი: „პრემიერის დავალებით გამოუცხადეს ბრძოლა ყველას, ვინც ყოფილ ხელისუფლებას დისკომფორტს უქმნიდა“



## მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე 1.371.000 აშშ დოლარის ქონებას ფლობს



გვ.3

ეკონომიკა გვ.5

## 16 წლის მეწარმე ქართველ მომხმარებელს: „მეტი ყურადღება დაუთმეთ ქართულ წარმოებას და შეიძინეთ“



## საქართველო „მომავლის ერთ-ერთ საუკეთესო საინვესტიციო ლოკაციად“ დაასახელეს






## დისტრიბუტორთა ასოციაცია თბილისის მერს ურჩევს, ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მიიღოს

ISSN 1987-9385

4 მოსამართლე გიორგი არევაძემ სააკაშვილის ადვოკატს ოროსანი უწოდა

6 კახა კალაძე ბაღებში გადასახადზე – პრიორიტეტების განსაზღვრა სწორად უნდა მოხდეს

4 ნაციონალების აქტივისტ ზურაბ ნონიაძის შვილი მალხაზ თვაური ნარკოტიკებზე დააკავეს

4 „საქართველოში 100 პროცენტით შოკოლადს არავინ აწარმოებს“

# დავით ზურაბიშვილი: „არცერთ დემოკრატიულ ქვეყანაში სასიამოვნო ოპოზიცია არავის ჰყავს“

ნათია ხურცილავა

„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით ზურაბიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო დავით, რა გამოავლინა პარლამენტში მიმდინარე ორდღიანმა პროცესმა, როგორ შეაფასებთ მომხდარს?***

– თუკი რამ იყო მთელ ამ პროცესში საინტერესო და ახალი, იყო სწორედ პრემიერ კვირიკაშვილის გაბრაზება, წყობიდან გამოსვლა. მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობას საპარლამენტო უმრავლესობა რომ უპრობლემოდ დაამტკიცებდა, ამის მოლოდინი, რა თქმა უნდა, იყო და ასეც მოხდა. ამაში არაფერია გასაკვირი. გასაკვირი აღმოჩნდა ის, რაც მოხდა. რატომ გამოვიდა წყობიდან პრემიერი?!

ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირი როდესაც წყობიდან გამოდის და ოპონენტს, ოპოზიციას აგინებს, უცენზურო სიტყვით მიმართავს, ეს არცერთ შემთხვევაში სწორი არ არის, რაც არ უნდა გამომწვევი იყოს ოპონენტი. – უარესის ღირსი იყო, მეტიც, უნდა გალახულიყო და ა.შ. – ეს არის ის შეფასებები და სიტყვები, რომლებიც ქუჩაში შეიძლება ითქვას, მაგრამ პოლიტიკურ, სახელისუფლებო დონეზე ასეთი ტიპის კომენტარები სრულიად მიუღებელია, უხერხულიც კი აღარ არის. პრობლემა იწყება სწორედ აქ.

ადამიანი რომ წყობიდან გამოდის, ბრაზდება, შეიძლება ეს ისეთი საგანგაშო არ იყოს, რადგან ადამიანები ვართ, შეიძლება დააშავო და შემდეგ გულწრფელად მოიხადო ბოდიში, ეს



გააცნობიერო, მაგრამ, რაც შემდეგ მოჰყვა ამას, ეს უკვე სახიფათოც კი შეიძლება იყოს. თუმცა, რაც უფრო მაღალი თანამდებობა უკავია ადამიანს, მით უფრო მეტი თმენის ვალდებულება აქვს. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მინისტრები, დეპუტატები მართლაც გამოსულან წყობიდან. ეს მომხდარა დემოკრატიულ, ცივილიზებულ ქვეყნებშიც, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის პარლამენტში, თუმცა, პრემიერი რომ იგინებოდეს, ეს ცოტა იშვიათი შემთხვევაა.

***– რას გულისხმობთ სახიფათოში?***

– იმ კომენტარებს, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობამ გააკეთა. იყო ასეთი შეფასებები: „პრემიერი კაცურად მოიქცა“, „კაცურად უნდა დავუდგეთ გვერდით“. ასეთი კომენტარები საშიშია. ეს სცილდება ყოველგვარ ზღვარს. ეს არის ქუჩური თუ, არ ვიცი, კიდევ რა ვუწოდო. თუ ასეთი პოზიციიდან დავიწყებთ პოლიტიკურ ოპონენტთან ლაპარაკს, მაშინ საერთოდ რა საჭიროა ქვეყანაში პარლამენტი, კანონი, მინისტრთა კაბინეტი?! გავიდეთ ქუჩაში ყველა ერთად და იქ ვარჩიოთ საქმეები! ვინც მოერევა ამ ქურდულ გარჩევებში, ის იქნება მოგებული და ვიცხოვროთ ასე! რა არის ეს! თუ ამ მენტალიტეტით ვცხოვრობთ, თუ ეს არის ჩვენი არგუმენტები, მაშინ საერთოდ რაში გვჭირდება სახელმწიფო! ეს პოზიცია სერიოზულ წინააღმდეგობაში მოდის საერთო სახელმწიფოებრიობის გაგებასთან. რით განსხვავდება დემოკრატიული და არადემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთისგან? არადემოკრატიულ ქვეყანაში ყველაფერი ხელისუფლებაა, არც ოპოზიცია ჰყავს და არც საწინააღმდეგო აზრი ისმის. ამიტომ არის ის არადემოკრატიული ქვეყანა. ცხოვრობს ისე, როგორც მას უნდა, მორჩა. რატომ არის ეს ასე რთულად გასაგები?! დემოკრატია კი სრულიად საწინააღმდეგოს გულისხმობს – შეეგუო და აიტანო ის, რაც შენს აზრსა და პოზიციას არ ემთხვევა. თუ დემოკრატიაზე გვაქვს პრეტენზია, მაშინ ჩვენი შესაფასებელი არ არის, როგორი იქნება ოპოზიცია ამ ქვეყანაში. თუ ხალხმა აირჩია ეს ოპოზიცია, ის უნდა მიიღო ისეთი, როგორიც არის. „ციხეში ჩასვით“, „ესენი არ არიან ოპოზიცია“, რომ გაჰკივიან, კი ბატონო, მაგრამ მაშინ დადონ უტყუარი მტკიცებულებები და ჩასვან ციხეში! თუ მტკიცებულებები არ გაქვს, მაშინ კეთილი უნდა ინებო და მოექცე მას, როგორც პოლიტიკურ ოპონენტს. ასე მტრულად უყურებდა ყოფილი ხელისუფლება ოპოზიციას. „რუსეთის აგენტები“, „სულს ამოგხდით“, „თქვე ნაძირლებო“! ხომ გახსოვთ, ეს ჩვენ მაშინ არ მოგვწონდა, ამიტომ გამოვიდა ამდენი ხალხი და ხელისუფლება გაუშვა სახლში, ახლა იმავეს თუ ვაპირებთ, არ ვიცი.

ამ ყველაფერში მთავარი პრობლემა არის ის, რომ უმაღლეს ხელისუფალს არ ესმის, რა არის ხელისუფლებაში ყოფნა და რას ნიშნავს პოლიტიკური ოპონენტი დემოკრატიულ ქვეყანაში. არცერთ დემოკრატიულ ქვეყანაში, მერწმუნეთ, სასიამოვნო ოპოზიცია არავის ჰყავს. ოპოზიციასაც, როგორც ხელისუფლებას, ხალხი ირჩევს. აირჩია ეს ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ ხალხმა და არიან პარლამენტში. მე არ ამირჩია და კი ვზივარ აგერ, თორემ მათზე ნაკლებ ბიჭად კი არ მიმაჩნია თავი.

***– ბატონო დავით, პრემიერი კვირიკაშვილი აქამდე ცნობილი იყო, როგორც გაწონასწორებული, ადვილად არ იყო გამოდის წყობილებიდან. მისი მწვავე რეაქცია მოჰყვა მელიას განცხადებას, თქვენი შემცვლელი გვერდით გიზითო. გამოდის, რეალობასთან ახლოს არის ეს ვერსია?***

– როგორც ჩანს, ბოლომდე არ აქვს ინფორმაცია კვირიკაშვილს, რჩება თუ მიდის. მეც მგონია, რომ ეს იყო მთავარი მიზეზი მისი ამ გაღიზიანების. საბოლოო ჯამში, ამ გადაწყვეტილებას მიიღებს ბიძინა ივანიშვილი. ჯერ საბოლოოდ არ იცის კვირიკაშვილმა, როგორი იქნება ივანიშვილის პოზიცია. როგორც ჩანს, ამაზე ნერვიულობს და ამაზე იყო მთელი რეაქცია და არა იმაზე, რომ მელიამ მას პირადად მიაყენა შეურაცხყოფა. პრემიერ კვირიკაშვილის რეაქციაში სწორედ ეს გამოჩნდა.

# „ამაზე მეტი რაღა უნდა მოხდეს?! ყოველდღე თითო ბავშვს კლავენ!“

## შალვა ხაჭაპურიძე: „ნაციონალურ მოძრაობას ქურდული მენტალიტეტი არ მოუკლავს“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ ვითარებას „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უფლებადამცველი **შალვა ხაჭაპურიძე** აფასებს.

***– ბატონო შალვა, ყოველდღიურად გვესმის შეფასებები, რომ ქვეყანაში კრიმინალმა მოიმატა. იმატა დანაშაულმა მოზარდებში. ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლება კრიმინალური მენტალიტეტის მატარებელია და ამიტომაც იმატა კრიმინალმა. რა ხდება რეალურად, რის თქმა შეგიძლიათ?***

– კრიმინალმა რომ იმატა, ფაქტია, ამას ვერავინ გაექცევა. არასრულწლოვნების თემატიკაც გასაგებია, ამ კუთხით ძალიან მძიმე სიტუაციაა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ, არიქა, ქვეყანა თავზე გვექცევა. ეს ყველაფერი უფრო გამოწვეულია იმით, რომ, მოგეხსენებათ, ვარდოსანი ხელისუფლების დროს, როგორც წესი, ოქრუაშვილის, მერაბიშვილის, ბარამიძის მინისტრობისას შინაგან საქმეთა სამინისტრო ქვეყანაში ახორციელებდა დიქტატურას, იყო პოლიციური სახელმწიფო და, როდესაც ეს ყველაფერი მოეშვა, მოსაძებნი იყო პოლიციის ისეთი სისტემა, რომელიც ეფექტური იქნებოდა დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად.

***– მოიძებნა ასეთი სისტემა?***

– სამწუხაროდ, არ ვიცი, დაწყევლილები ვართ თუ რა ხდება, შინაგან საქმეთა სამინისტროს არ ეღირსა ისეთი კადრი, რომელიც იქნებოდა პროფესიონალი, იქნებოდა აქტიური ადამიანი, ანუ ისეთი გუნდი არ მოსულა შინაგან საქმეთა სამინისტროში დღემდე, რომელიც განახორციელებდა სისტემურ რეფორმებს და ამ მხრივ იქნებოდა წინსვლა.

***– ამბობენ, რომ გახარიამ კარგად დაიწყო, სერიოზულ რეფორმებს გეგმავს.***

– მაგის თქმას ვაპირებდი ზუსტად. ვუსმინე გახარიას გამოსვლას და ძალიან მომეწონა მისი პოზიციები რეფორმებთან დაკავშირებით. მან ისაუბრა კრიმინალური პოლიციის რეფორმაზე, არასრულწლოვანთა დეპარტამენტის შექმნაზე, ორგანიზებულ დანაშაულთან და ქურთულ მენტალიტეტთან ბრძოლაზე. მე აბსოლუტურად ვიზიარებ და ვეთანხმები მის მოსაზრებებს. უფრო მეტიც, მიმაჩნია, რომ სასჯელაღსრულების სისტემაშიც მუშაობა უნდა გააქტიურდეს.

***– კონკრეტულად რა კუთხით, რას გულისხმობთ?***

– სასჯელაღსრულების სისტემა ძალაუნებურად დაკავშირებულია კრიმინალურ მენტალიტეტთან. გამგები ამას გაიგებს. ამ ეტაპზე ამის გაშიფვრას არ ვაპირებ.

***– კახიშვილი ერთ-ერთ წარმატებულ მინისტრად ითვლება. მოწესრიგდა ეს სისტემაო და თქვენ რა გაქვთ მხედველობაში?***

– მაგას მეც ვიზიარებ, მაგრამ სულ სხვა რამეს ვამბობ. რომ მოწესრიგდა, გასაგებია, მაგრამ იქ რომ ქურდული მენტალიტეტის ადამიანები არიან და ძირითადად ქურდული სამყაროს მენტალობა ზუსტად იმ კონტინგენტზე ვითარდება, რომლებიც სასჯელაღსრულების სისტემაში იხდიან სასჯელს, ამას ვამბობ. კახიშვილის სისტემა ამაზე ვერანაირად მოახდენს რეაგირებას.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ციხეში ქურდები ისევ ქურდობენ?***

– რა თქმა უნდა! რა, ამაში ეჭვი ეპარება ვინმეს?! ეს ასეა. ამიტომ ამას უნდა მიექცეს ყურადღება. თუ ვინმე იტყვის, რომ ასე არ არის, ძალიან ცდება. კახიშვილის უწყებას ამას ვერ დავაბრალებთ, მოდით, პირდაპირ ვთქვათ. კახიშვილის უწყების ამოცანა და მიზანია, უყარაულოს პატიმარს, მაგრამ, იქ თუ რამე ქმედებებს აქვს ადგილი, ეს...

***– ეს ვის ეხება?***

– ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეროგატივაა. აქ კახიშვილი არაფერ შუაშია. ეს აუცილებლად უნდა გავმიჯნოთ. კახიშვილს, პირიქით, მადლობა ეკუთვნის იმისთვის, რაც იშრომა და იწვალა. ოპერატიული სამძებრო საქმიანობა და ასე შემდეგ – ეს არის წმინდა წყლის შს სამინისტროს ფუნქცია. კახიშვილის უწყების ფუნქციაა, შეინახოს პატიმარი, მოახდინოს მისი იზოლირება, კვებოს და შეუქმნას ადამიანური პირობები. შინაგან საქმეთა სამინისტროს კი რატომღაც გამორჩა ეს ამბავი.



***– ნაციონალური მოძრაობა სულ საყვედურობს ამ ხელისუფლებას, ჩვენ დროს მოისპო ქურდული მენტალიტეტი ამ ქვეყანაში და თქვენ ისევ დააბრუნეთო.***

– ნაციონალური მოძრაობის დროს ქურდული მენტალიტეტი არ მოუკლავთ. ეს ტყუილია. ნაციონალური მოძრაობა ბევრ შოუს დგამდა, იჭერდა ისეთ ხალხს, ვინც არ იყო დასაჭერი და მიაწებებდა ქურდის იარლიყს. ერთი კონკრეტული მაგალითი შემიძლია გავიხსენო.

***– კერძოდ?***

– მაგრამ გვარს ვერ დავასახელებ, ამას ნუ მომთხოვთ. პიროვნება, რომელიც იყო ცნობილი აგენტი, შემდეგ დააკავეს და გაასამართლეს ქურდული მენტალიტეტისთვის ნაციონალური მოძრაობის დროს, ანუ ხომ ხვდებით, რა ხდებოდა – როგორც დასჭირდებოდათ, ისე მიაწებებდნენ ამ იარლიყს იმას, ვინც უნდოდათ. ასე არ აკეთებს დღევანდელი ხელისუფლება. ამიტომ, რადგან ასე არ აკეთებს და იქცევა სამართლიანად, ამან საზოგადოებში გააჩინა შეგრძნება, თითქოს ქურდულ სამყაროს არ ებრძვის. არადა, სტატისტიკით დღეს გაცილებით მეტი კანონიერი ქურდია დაკავებული, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის დროს იყო. უბრალოდ, განსხვავება ის არის, რომ მაშინ გაცილებით დიდი პიარი კეთდებოდა ამ თემებზე, ხოლო დღევანდელმა ხელისუფლებამ თავშივე ასეთი არჩევანი გააკეთა – არ უნდა პიარი. რადგან ტელევიზიით ასეთ დადგმულ შოუებს ვერ უყურებს ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელსაც მოსწონს შოუ, ისინი თვლიან, რომ ეს ხელისუფლება კრიმინალს არ ებრძვის.

***– რეალურად რა ხდება?***

– რეალურად ბრძოლა მიმდინარეობს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ბრძოლა საკმარისი არ არის. ამიტომ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჟაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაციონალების მთავარი მფარველი კვირიკაშვილია“

## ლადო სადღობელაშვილი: „პრემიერის დავალებით გამოუცხადეს ბრძოლა ყველას, ვინც ყოფილ ხელისუფლებას დისკომფორტს უქმნიდა“

შორენა მარსაგიშვილი

რა წვლილი მიუძღვის ნაციონალების გათავხედებაში მთავრობის მეთაურს, რატომ უნდა დაისაჯოს ის მელიას გინებისთვის, რა გამოცდის ჩაბარება მოუწევს გიორგი გახარიას, რა წერილი გაიგზავნება ევროკომისართან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ქართული მარშის ერთ-ერთი ლიდერი **ლადო სადღობელაშვილი** ესაუბრება.

***– ლადო, თქვენ წინასწარი დაკავების იზოლატორში 12 დღე გაატარეთ. მართლა გინების გამო დაგაკავეს?***

– რა გინება, კაცო? მე დამაკავეს იმიტომ, რომ პოლიციელებს „ბიჭოთი“ მივმართე. ვინ ვის და როგორ აგინა, ეს საუბრის სხვა თემაა. დაკავების მომენტში პოლიციელებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენეს. მათ წინააღმდეგ პროკურატურაში უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

მინდა მივმართო შინაგან საქმეთა მინისტრს და ვთხოვო, საფუძვლიანად შეისწავლოს იმ ხალხის წარსული, ვინც ამ უწყებაში სააკაშვილის დროიდან მუშაობს.

გინებაზე მკითხეთ და აუცილებლად უნდა გავიხსენო პრემიერის გინება. სხვათა შორის, სწორედ მის სტილში ვაგინებდი ნაციონალებს. ამის გამო თითქმის ყველა აქციაზე მაკავებდნენ, 12 საათი მაჩერებდნენ წინასწარი დაკავების იზოლატორში და სოლიდური ჯარიმის გადახდის სანაცვლოდ მათავისუფლებდნენ.

***– პრემიერის დაკავებას ითხოვთ?***

– ნაციონალების გინების გამო ადამიანის დაკავება როგორ შეიძლება მოვითხოვო, ყველაზე მეტად მე ვაგინებდი მაგათ. უბრალოდ, მაინტერესებს, მე თუ მიჭერდნენ და მაჯარიმებდნენ, პრემიერს რატომ არ სთხოვენ იმავე ქმედებებისთვის პასუხს. ჩვენ ხომ ორივე თანასწორები ვართ? კონსტიტუციის მიხედვით, ყველა ადამიანია თანასწორია.

***– იდეაში ყველა ადამიანი მართლაც თანასწორია, მაგრამ რეალობა ცოტა სხვანაირია – რაც ეპატიება პრემიერს, არ ეპატიება რიგით მოქალაქეს.***

– მერე, ეგ არის დემოკრატია? მერე რა, რომ ის პრემიერია? კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს. რადგან კვირიკაშვილი მთავრობის მეთაურია, ჩემზე მეტი რითია – 3 ფეხი აბია, 5 თვალი აქვს თუ 10 ყური.

პრემიერიც ჩვეულებრივია მოქალაქეა და მის წინააღმდეგაც ისევე უნდა აღიძრას საქმე, როგორც ეს ჩემთან მიმართებით ხდებოდა. ისე არავინ გამიგოს, რომ პრემიერს ვაკრიტიკებდე, ნაციონალებს ყოველდღე უნდა აგინოს კაცმა, მაგრამ, როცა სხვას იჭერ ამის გამო, მაშინ პრემიერის წინააღმდეგაც აღიძრას საქმე წვრილმანი ხულიგნობის მუხლით.

აქ აუცილებლად უნდა ვთქვათ ისიც, რომ სწორედ კვირიკაშვილის დამსახურებით გათავხედდნენ ასე.

***– მათ თავხედობა არც ადრე აკლდათ.***

– რას ლაპარაკობთ? ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობისას თავიანთი ჩრდილის ეშინოდათ. წავიდა თუ არა ღარიბაშვილი, დაიწყო ნაციონალების გაბლატავება.

***– კვირიკაშვილის როლი რით გამოიხატება?***

– როგორც კი პრემიერად აირჩიეს, მთავრობის პირველივე სხდომაზე მოითხოვა ისეთი ორგანიზაციების ალაგმვა, რომლებიც ნაციონალებს აწიოკებდნენ. მათ შორის იყო ჩვენი ორგანიზაცია „თავისუფალი თაობაც“. არადა, ჩვენ არაფერს ვაშავებდით, მხოლოდ იმას ვითხოვდით, რომ დამნაშავე რეჟიმი გასამართლებულიყო.

***– ამის გარდა, თქვენ ნაციონალებს ოფისებშიც უცვივდებოდით?***

– ეს იყო ჩვენი პროტესტი. მათთვის კვერცხებიც გვისვრია და საღებავებიც. ასეთი რამეები ყველა ნორმალურ ქვეყანაში ხდება. კვირიკაშვილს ეს რატომღაც არ მოეწონა. მან ყველა იმ ადამიანს გამოუცხადა ბრძოლა, რომლებიც ყოფილ ხელისუფლებას ებრძოდნენ.

ეს მისი მხრიდან იყო რაღაც თამაში. ამ თამაშის დაწყებიდან 2 წლის თავზე ის ნაციონალებმა ისე გამოიყვანეს წყობიდან, რომ ბილწსიტყვაობაზე გადავიდა. ასეთი უშვერი სიტყვებით მეც კი არ მიგინებია ნაციონალებისთვის.



კვირიკაშვილი არ იყო, ბოკერიას ფლანგი რომ გამოყო ნაციონალური მოძრაობიდან? კვირიკაშვილი არ იყო, გიგი უგულავა ციხიდან რომ გამოიყვანა? კვირიკაშვილი არ იყო, ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმრად რომ შეირაცხა მთელი მსოფლიოს მასშტაბით? გაუგორა ყოფილ ხელისუფლებას კოჭი და მიიღო კიდევაც.

პრემიერის მხრიდან გინება თუ ჩვეულებრივი ამბავია, მაშინ რას ვერჩოდით ირაკლი ღარიბაშვილს, იმ ცნობილი გინების გამო რომ ლამის ჯვარს ვაცვით? ამის გამო ღარიბაშვილს „ოცნებაშიც“ ბევრი აკრიტიკებდა და მას ძირს უთხრიდნენ. ეს ადამიანები ახლაც ხელისუფლებაში არიან, მაგრამ კვირიკაშვილის გინებას იწონებენ.

***– ვისზეა საუბარი?***

– სახელებსა და გვარებს ახლა არ დავასახელებ, ზოგიერთი მათგანი დეპუტატია, ზოგიერთი მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, ზოგიც თბილისის საკრებულოში მოხვდა. გინება თუ მისაღები იყო, დარჩენილიყო ღარიბაშვილი პრემიერად. ის იმას მაინც აკეთებდა, რომ ნაციონალებს მანდრაჟში ამყოფებდა.

მას ნიკა მელია ამდენს ნამდვილად ვერ გაუბედავდა. გაუბედავდა და ის ამბავი კეთილების მოხსენიებით არ დამთავრდებოდა.

ძალიან მაინტერესებს, რა რეაქცია ექნება შსს-ს ტელეკომპანია „იბერიაში“ მომხდარ ინციდენტზე. იქ ეკა წამალაშვილს დავით ოქიტაშვილმა წყალი შეასხა, ხათუნა ხოფერია კი თმაში სწვდა. ამ მიმართულებით გახარიას სერიოზული ტესტი აქვს ჩასაბარებელი.

***– გახარიას რატომ?***

– ამ ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილე მისი ძალიან ახლო მეგობარია.

***– ვინ არის გახარიას მეგობარი? მისი გვარი მაინც დაასახელეთ.***

– ვინ არის და დავით ოქიტაშვილი. მე არც ოქიტაშვილის დაჭერა მინდა და მით უმეტეს არ მინდა, გისოსებს მიღმა ვიხილო ხათუნა ხოფერია. მინდა, რომ შსს-მ სამართლიანი გამოძიება ჩაატაროს. გახარიას მიმართ სიმპათიით ვარ განწყობილი და ძალიან მეწყინება, თუ ისიც შერჩევით სამართალს აირჩევს.

***– კაპეზეში გატარებული 12 დღის მიუხედავად, გახარიას მიმართ მაინც სიმპათია გაქვთ?***

– რა თქმა უნდა. ამ ადამიანში არის რაღაც გებელსისეული. ეს პირადად მე იმის იმედს მაძლევს, რომ ის სამართლიანი მინისტრი იქნება. „იბერიაზე“ მომხდარის გამოძიება ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს.

ჩვენ კაპეზეში ჩემს ყოფნას შევეხეთ და რაც იქ ვნახე, საშინელებაა. ამის შესახებ ამ დღეებში მივწერ წერილს ევროკომისარს.

რასაც ახლა გეტყვით, მინდა, ამას ყურადღება მიაქციოს შსს-მ, სახალხო დამცველმა, პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტმა.

წინასწარი დაკავების დაწესებულებაში საშინელი სიბინძურეა, კვება ამაზრზენი და არაკალორიულია, ვენტილაცია მეორეხარისხოვანია, ჰაერი საერთოდ არ არის! ე.წ. შეგზავნის პირობები მოუწესრიგებელი და დაუბალანსებელია! გათბობა არ არის მოწესრიგებული, დასალევი წყლის ონკანი და საპირფარეშო ერთ სისტემადაა წარმოდგენილი, პრაქტიკულად ტუალეტიდან გიწევს წყლის დალევა! „კოიკები“ რკინისაა და ქვეშაგები ისეთი თხელია, რომ პრაქტიკულად რკინებზე გიწევს წოლა! ლეიბები წარმოადგენს ბაქტერიების ბუდეს! დაახლოებით 15 კვ/მ-ში უწევს ყოფნა 4 ადამიანს!

***– ასეთი საშინელებაა წინასწარი დაკავების იზოლატორში? აკი რაღაცები შეიცვალაო.***

– რაც მე ჩამოვთვალე, იმ პრობლემების მცირე ნაწილია, რომელიც სუფევს შსს-ს დაქვემდებარებაში მყოფ თბილისის დმიში. მოკლედ, პირობები არის არაადამიანური და, შეიძლება ითქვას, იქ ორ დღეზე მეტ ხანს ვინც ჩერდება, პრაქტიკულად წამების მსხვერპლია!

თქვენი გაზეთით მივმართავ შს მინისტრ გახარიას, რომლის ე.წ. მენეჯერული უნარ-ჩვევებით დღევანდელი მლიქვნელი საზოგადოება აღფრთოვანებულია! ნუთუ არ გრცხვენიათ, ასეთი დეპარტამენტის მინისტრი რომ ბრძანდებით! ნუთუ თქვენს სამინისტროში არ შეიძლება არ გამოიცვალოს 100.000-დოლარიანი ჯიპი ან, მაგალითად, არ გამოეწეროს ვინმე მაღალჩინოსანს პრემია ან დანამატი და ეს თანხა მოხმარდეს, მაგალითად, დმი-ში პატიმრების კვებას ან სისუფთავეს?! და ამის მერე თქვენ პრემიერობაზე გაქვთ პრეტენზია?! ერთადერთი, რაც იქ მოხვედრილ ადამიანს სიამოვნებს, არის მედპერსონალი, რომელიც თქვენს უწყებას არ ეკუთვნის და თვითონ იქ დასაქმებული პოლიციელები! მე წარმოდგენაც არ მინდა, რა პირობებია სხვა კაპეზ-ეებში!!!

გპირდებით, რომ უახლოეს დღეებში მოვამზადებ წერილს ევროკომისრის სახელზე და აუცილებლად მივაღწევ, საქართველოს ეწვიოს შესაბამისი კომისია.

მებრალება ყველა ის ადამიანი, რომლებიც თუნდაც ერთი საათით მაინც მოხვდებიან იმ არაადამიანურ გარემოში. ყველაფრის მიუხედავად, მჯერა, რომ გახარია ამას გამოასწორებს. ეს მისი პრესტიჟის საქმეა.

# მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე 1.371.000 აშშ დოლარის ქონებას ფლობს



მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე ახვლედიანის საკუთრებაში 1.371.000 აშშ დოლარის ღირებულების ქონება ირიცხება: 10 ბინა და სახლი, 2 კომერციული ფართი, 3 მიწის ნაკვეთი, 6 ავტოფარეხი და 5 სატრანსპორტო საშუალება.

ალექსანდრე ახვლედიანი მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ 2017 წლის 20 ნოემბერს იქნა არჩეული. საკრებულოს წევრი იგი „ქართული ოცნების“ პარტიული სიით გახდა. მანამდე მისი საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არც მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე და არც თანამდებობის პირის დეკლარაციაში არ მოიპოვება.

2017 წლის 12 დეკემბერს შევსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიხედვით, ალექსანდრე ახვლედიანმა და მისმა მეუღლემ ხათუნა თოდუამ მხოლოდ ბოლო 3 წლის განმავლობაში შეიძინეს უძრავი ქონება, რომლის საერთო ღირებულება 1.224.000 აშშ დოლარია, აგრეთვე 50.000 აშშ დოლარად ღირებული ავტომტვირთავი.

შეძენილი ქონების ნუსხაში მითითებულია: 2015 წელს ნაყიდი 3 ბინა, 1 საცხოვრებელი სახლი, 1 მიწის ნაკვეთი და 6 ავტოფარეხი ქალაქ თბილისში, 1 საცხოვრებელი სახლი ქალაქ ქუთაისში და 1 არასაცხოვრებელი ფართი ქალაქ მარტვილში; 2016 წელს ნაყიდი 1 საცხოვრებელი სახლი და 1 კომერციული ფართი ქ. თბილისში; 2017 წელს ნაყიდი ქ. თბილისში მდებარე 2 ბინა, 1 საცხოვრებელი სახლი და 2 მიწის ნაკვეთი, ასევე 1 ავტომტვირთავი.

გარდა ამისა, ალექსანდრე ახვლედიანის ოჯახის საკუთრებაშია 2013 წელს ქალაქ ქუთაისში შეძენილი ბინა, რომლის ღირებულება 32.000 აშშ დოლარია, ასევე 3 ავტომანქანა და ექსკავატორი, რომელთა საერთო ღირებულება 65.000 აშშ დოლარს შეადგენს.

ქონებრივი დეკლარაციისა და საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი სამეწარმეო საქმიანობაში არ მონაწილეობდა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში არცერთ მათგანი არ მუშაობდა და არ მიუღიათ რაიმე შემოსავალი, არ აუღიათ სესხი ბანკიდან ან კერძო პირისგან, არ გააჩნიათ ფულადი დანაზოგი.

# „ამაზე მეტი რაღა უნდა მოხდეს?! ყოველდღე თითო ბავშვს კლავენ!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

შეაღწია ამან ციხეშიც, უბნებშიც, საკნებშიც და ასე შემდეგ. ნაციონალების მოსმენა კი არ არგებს საზოგადოებას. ისინი კვირიკაშვილზეც ამბობენ, ქურდული მენტალიტეტის მატარებელიაო. ყველაფერი შეგიძლია თქვა კვირიკაშვილზე – წყნარი, მშვიდი, გაწონასწორებული, მაგრამ კრიმინალური მენტალიტეტის მქონე? ეს, უბრალოდ, სასაცილოა. რატომ, რადგან შეიგინა? კრიმინალური მენტალიტეტის, ქურდულ სამყაროსთან ჩახუტებული და ხელისუფლებაში მოყვანილი იყო თავად სააკაშვილი. პირველი ფული მან საკმაოდ დიდი კრიმინალური ავტორიტეტისგან მიიღო. ეს ყველასთვის ცნობილია და არავის უარუყვია. ნაციონალების მხრიდან ამ თემაზე აპელირება ამაზრზენია. კარგია, რომ გახარიასნაირი კაცი მივიდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. ის საქმის საკეთებლად არის განწყობილი.

***– ბატონო შალვა, რას იტყვით მოზარდებში გახშირებულ კრიმინალურ შემთხვევებზე, რა ხდება?***

– ეს უკვე სერიოზული თემაა. მე თუ დღევანდელი კრიმინალის ზრდაში ვადანაშაულებ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრებს, ვგულისხმობ ოცნების მინისტრებს, აქ უკვე ყველაფერში ბრალი მიუძღვის არა მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს, არამედ განათლების სისტემას, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, რომელიც მართლაც დასაშლელი იყო. დააინტერესეთ ბავშვები სპორტით, წაახალისეთ. მთელი სისტემა უნდა იყოს ჩართული, სოციალური სამსახურები და ასე შემდეგ. პოლიცია ყველაზე ბოლოა ამ პრობლემასთან ბრძოლაში. ყოველ წელიწადს ცვლიან განათლების მინისტრებს. უკეთეს შედეგს არც უნდა ველოდოთ. ზოგი რომელი ქვეყნის მოდელს ემხრობა და ზოგი – რომლის. თვითონაც ვერ გარკვეულან, რა უნდათ. სანამ გაერკვევიან, ხსნიან. მინიმუმ 10-15 წელი არაფერი გვეშველება. კიდევ გაგრძელდება ეს ხოცვა-ულეტა.

***– არ ჩანს გამოსავალი?***

– ამ ეტაპზე – არა. მოვუწოდებ მშობლებს, ნუ იქნებიან მხოლოდ სკოლისა და სახელმწიფოს იმედზე. ჩვენს სახელმწიფოსა და ჩინოვნიკებს ჯერ კიდევ ბევრი აკლიათ საიმისოდ, რომ ისე იფიქრონ ჩვენს შვილებზე, როგორც თავიანთ შვილებზე ფიქრობენ. სოციალური ზედამხედველობა ჯანდაცვის სამინისტროს ეხება. რატომღაც ამ სამინისტროსგან არანაირი განცხადება არ გვესმის. მხოლოდ შს სამინისტრო რას იზამს?!

# სუსმა ზაზა მაჩალაძე, ირაკლი ბერიშვილი, დავით ბერიშვილი, ვაჟა კვარაცხელია და თემურ დათიკაშვილი დააკავა — მათ კალათბურთის მატჩების ჩაწყობა ბრალდებათ

22 დეკემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა კალათბურთის მწვრთნელები და მსაჯები ჯგუფურად კომერციული მოსყიდვის ფაქტზე დააკავა.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად კომერციული მოსყიდვის ფაქტზე საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები – ზაზა მაჩალაძე, ირაკლი ბერიშვილი და დავით ბერიშვილი, ასევე საკალათბურთო კლუბ „სოხუმის" მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია და ამავე კლუბის თანამფლობელი თემურ დათიკაშვილი დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ვაჟა კვარაცხელია და თემურ დათიკაშვილი კალათბურთის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯების – ზაზა მაჩალაძის, ირაკლი და დავით ბერიშვილების დახმარებით, თანხის სანაცვლოდ ახდენდნენ საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის სუპერლიგის სხვადასხვა მატჩებში სასურველი შედეგის დაფიქსირებას.

ვაჟა კვარაცხელიამ და თემურ დათიკაშვილმა თითოეულ „ჩაწყობილ" მატჩზე მოქალაქეს მოსთხოვეს 12.000 ლარის გადახდა, საიდანაც 2.000 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა ლარში მსაჯებისთვის იყო განკუთვნილი.

2017 წლის 15 და 16 დეკემბერს გაიმართა საკალათბურთო ჩემპიონატის სუპერლიგის სამი შეხვედრა, რომლებიც დასრულდა წინასწარ შეპირებული ქულათა სხვაობით, რის შემდეგაც თემურ დათიკაშვილი, ვაჟა კვარაცხელია, ზაზა მაჩალაძე, დავით ბერიშვილი და ირაკლი ბერიშვილი დაეუფლნენ მოთხოვნილ თანხას, საერთო ჯამში 36.000 ლარს.



გამოძიება ჯგუფურად კომერციული მოსყიდვის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს 4-დან 6 წლამდე ვადით.

გამოძიებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

* * *

ირაკლი და დავით ბერიშვილების ადვოკატ იასონ ბესელიას განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფები წარდგენილ ბრალს აღიარებენ, გამოძიებასთან თანამშრომლობენ და თავს დამნაშავედ გრძნობენ.

შესაბამისი განცხადება ადვოკატმა ჟურნალისტებთან საუბარში სუს-იდან გამოსვლის შემდეგ გააკეთა, სადაც ირაკლი და დავით ბერიშვილების დაკითხვა მიმდინარეობდა.

– ისინი დღეს დააკავეს კომერციული მოსყიდვის ფაქტზე. კალათბურთის ფედერაციის ეგიდით ე.წ. ჩაწყობილი თამაშების ბრალდებით, თუმცა ბრალი ჯერ არ წარუდგენიათ მათთვის. დაკავებულებს ედავებიან იმას, რომ გარკვეული თამაშების სანაცვლოდ აიღეს უკანონოდ გარკვეული ანაზღაურება. მათი პოზიციაა ის, რომ ითანამშრომლონ გამოძიებასთან. ისინი აცხადებენ, რომ მათ აიღეს გარკვეული თანხა და დანაშაულს აღიარებენ, თუმცა რომელ თამაშებზეა საუბარი, ვერ გეტყვით, ამას გამოძიება დაადგენს, – განაცხადა ადვოკატმა.

ადვოკატი ვერ აკონკრეტებს, ვისთან ერთად მოქმედებდნენ მისი დაცვის ქვეშ მყოფები, თუმცა ამბობს, რომ ისინი დამოუკიდებლად არ მოქმედებდნენ.

მისივე განმარტებით, ამ სქემას გამოძიება დაადგენს.

* * *

საკალათბურთო კლუბ „სოხუმის" თანამფლობელი თემურ დათიკაშვილი წარდგენილ ბრალს არ აღიარებს.

ადვოკატი თამარ აბესაძე ამბობს, რომ დათიკაშვილს ბრალდების მხარე კომერციულ მოსყიდვას ედავება, რაც, დაკავებულის შეფასებით, პროვოკაციაა.

იმაზე, თუ ვისი მხრიდან დაგეგმილ პროვოკაციაზე საუბრობს დაკავებული, ადვოკატი ინფორმაციას არ ფლობს.

– აბსოლუტურად ყველაფერს უარყოფს და ამბობს, რომ აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია. ეს იყო წმინდა წყლის პროვოკაცია. წუხს ყოველივეზე და გულისტკივილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა სპორტს, ახლა კი ხდება ისე, რომ მასთან დაკავშირებით ვრცელდება ასეთი ინფორმაციები. პროვოკაციასთან დაკავშირებით შემდგომში მოგახსენებთ დაზუსტებით, ვინაიდან შეიძლება საზოგადოება შეცდომაში შევიყვანოთ. თანხაზე საუბარი საერთოდ არ არის. ეს დასადგენია, იყო თუ არა თანხა საქმეში. სუს-მა რა გაავრცელა, ერთია და სინამდვილეში რა არის, ეს მეორეა.

რაც შეეხება ბერიშვილების აღიარებას, მე არ მეხება აღნიშნული საკითხი, მაგრამ ბერიშვილებმა თავიანთ ქმედებაზე აგონ პასუხი, თუკი ეს ასეა. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, რომელიც არის ძალიან შეწუხებული ამ ყველაფრისგან, არ აღიარებს კომერციულ მოსყიდვას და განიცდის ძალიან, – განაცხადა ადვოკატმა.

## მოსამართლე გიორგი არევაძემ სააკაშვილის ადვოკატს ოროსანი უწოდა

– იმედია, სასამართლოს მიერ მოცემული ვადა საკმარისი იქნება და შემდეგ პროცესზეც ოროსანი ბავშვივით არ ადგებით და არ იტყვით, რომ საქმის მასალების გაცნობა ვერ მოასწარით.



ასე მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი არევაძემ მიხეილ სააკაშვილის სახაზინო ადვოკატ სოფიო გოგლიჩიძეს.

ადვოკატი 22 დეკემბრის პროცესზე მოითხოვდა მისთვის მოსამართლეს მიეცა გონივრული ვადა, რათა მოესწრო საქმის მასალების გაცნობა. მოსამართლემ ნაწილობრივ გაითვალისწინა ადვოკატის პოზიცია და მხოლოდ სამდღიანი ვადა მისცა საქმის მასალების გასაცნობად და მოუწოდა, რომ საქმეს მეტი მობილიზებით მოეკიდოს.

შესაბამისად, სანდრო გირგვლიანის საქმეზე, რომელზეც ბრალდებული მიხეილ სააკაშვილია, სასამართლოს სხდომა 25 დეკემბერს, 13:00 საათზე გაიმართება.

მიხეილ სააკაშვილს სანდრო გირგვლიანის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ედება ბრალად და მის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მეორე ნაწილით არის აღძრული.

– თუ მასალების გაცნობას 25 დეკემბრამდე ვერ მოვასწრებ, კვლავ დავაყენებ საქმის გადადების მოთხოვნას – ბრალდებულის ინტერესები დაცული უნდა იყოს, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილის სახაზინო ადვოკატმა, სოფიო გოგლიჩიძემ სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ.

ადვოკატის განმარტებით, საქმის მასალების სირთულიდან გამომდინარე, ის გონივრულ ვადას 15 იანვრამდე ითხოვდა.

– საქმე არის საკმაოდ რთული, კომპლექსური და მოცულობითი, აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო მისი გაცნობა ერთი კვირის ვადაში, რომელიც მოსამართლემ გასულ კვირას მომცა. ამასთანავე, მე უნდა მომემზადებინა დასკვნითი სიტყვაც. გასათვალისწინებელია ის, რომ გარდა აღნიშნული საქმისა, წარმოებაში მაქვს არაერთი სხვა საქმე, სადაც ბრალდებულების ინტერესები ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც ამ საქმეზე. თუ მასალების გაცნობას 25 დეკემბრამდე ვერ მოვახერხებ, კვლავ დავაყენებ საქმის გადადების მოთხოვნას. ბრალდებულის ინტერესები დაცული უნდა იყოს, – განაცხადა სოფიო გოგლიჩიძემ.

კითხვაზე, მოახერხა თუ არა მან ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირება, ადვოკატმა განმარტა, რომ მან დღემდე ვერ მოახერხა კომუნიკაცია მიხეილ სააკაშვილთან, თუმცა შეტყობინება დაუტოვა ოჯახის წევრებს, რათა ბრალდებულმა ადვოკატთან დაკონტაქტება შეძლოს.

## ნაციონალების აქტივისტ ზურაბ ნონიაძის შვილი მალხაზ თვაური ნარკოტიკებზე დააკავეს

22 დეკემბერს პოლიციამ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტის შვილი დააკავა.




ზურაბ ნონიაძის სახლში სამართალდამცავები იარაღს ეძებდნენ.

მალხაზ თვაური 8-საათიანი ჩხრეკის შემდეგ აიყვანეს. ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ შს თანამშრომლები სამჯერ შემობრუნდნენ ადგილზე და ოჯახს იარაღის უკანონოდ შენახვის ორდერი წარუდგინეს, თუმცა მათი თქმით, მას შემდეგ, რაც ცეცხლსასროლი იარაღი ვერ აღმოაჩინეს, ახალგაზრდა ნარკოდანაშაულის ბრალდებით წაიყვანეს.

ზურაბ ნონიაძე შვილის დაკავებაში პოლიტიკურ სარჩულს ხედავს და არ გამორიცხავს, რომ მის შვილს ნარკოტიკული საშუალება ჩაუდონ.

ოჯახის წევრები ირწმუნებიან, რომ დაკავებულის ცოლი და შვილები პოლიციამ გააშიშვლა.

ენმ-ს აქტივისტის შვილის დაკავებასთან დაკავშირებით შსს-მ ინფორმაცია გაავრცელა.

უწყების ცნობით, დაკავებულს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა ედება ბრალად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული მ.თ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, მ.თ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, პოლიეთილენის პარკში შეფუთული ფხვნილი ამოიღეს. ბრალდებულმა გამოკითხვისას აღიარა, რომ ამოღებული ფხვნილი მისი კუთვნილი იყო და ნარკოტიკულ საშუალებას – „სირეცს" წარმოადგენდა. ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, მ.თ.-ს ნარკოტიკული საშუალებების – ოპიუმისა და ამფეტამინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

## თბილისში შსს-ს დაცვის პოლიციაში პოლკოვნიკ ზვიად ფიცხელაურს 7 ჭრილობა მიაყენეს

თბილისში, ვარკეთილში, თრიალეთის ქუჩაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი დაჭრეს. ზვიად ფიცხელაურს ცივი იარაღით 7 ჭრილობა მიაყენეს. ადგილზე კრიმინალური, საპატრულო და დაცვის პოლიციის ეკიპაჟები იყვნენ მობილიზებული. დანაშაული შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის ტერიტორიაზე მოხდა.

არსებობს ვერსია, რომ ფიცხელაურმა თვითდაზიანება მიიყენა.

პოლიციის პოლკოვნიკს უკვე ჩაუტარდა სასწრაფო ოპერაცია და მისი მდგომარეობა სტაბილურია. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებას გულისხმობს.

– აღენიშნებოდა გულ-მკერდის მარცხენა ნახევარში, შემავალი მრავლობითი ნაკვეთი ჭრილობები. პაციენტი სასიცოცხლო ჩვენებით შეყვანილ იქნა საოპერაციო ბლოკში. გაკეთდა გადაუდებელი ოპერაცია, აღმოჩნდა ფილტვის ქსოვილის დაზიანება, ფაქტიურად სამ ადგილზე. ოპერაციამ ჩაიარა დამაკმაყოფილებლად. გადმოყვანილ იქნა რეანიმაციულ განყოფილებაში. ეს არის ნაკვეთი ჭრილობა და კერძოდ რითია მიყენებული, ამას მე ვერ გეტყვით, – განაცხადა კლინიკა „ოპტიმალმედის" რეანიმაციის განყოფილების ხელმძღვანელმა გიორგი გეგაშვილმა.

### ეკონომიკა

# „საქართველოში 100 პროცენტით შოკოლადს არავინ აწარმოებს"

„საქართველოში 100 პროცენტით შოკოლადს არავინ აწარმოებს და არც არანაირი სტანდარტი არსებობს".

ამის შესახებ შოკოლად „ბიელას" მწარმოებელი შპს „ბუერის" დამფუძნებელი ლაშა თოფურია „კომერსანტის" კითხვის საპასუხოდ აცხადებს.

2018 წლის იანვრიდან უკრაინაში შოკოლადის წარმოების ევროპული სტანდარტები შედის ძალაში. ახალი ევროპული სტანდარტებით, შოკოლადად ჩაითვლება პროდუქტი, რომელიც მინიმუმ 35% კაკაოს შეიცავს, რძიანი შოკოლადის შემთხვევაში კაკაოს შემცველობა არანაკლებ 25% უნდა იყოს, რძის -14% , თეთრი შოკოლადის შემთხვევაში კაკაო 20% უნდა იყოს, რძე – 14%.

„კომერსანტი" დაინტერესდა, მოქმედებს თუ არა საქართველოში შოკოლადის წარმოების ევროპული სტანდარტი, დაცულია თუ არა ის შოკოლადის წარმოების დროს ან თუ არ არის, იგეგმება თუ არა მისი შემოღება?

შპს „ბუერის" დამფუძნებელ ლაშა თოფურიას განცხადებით, დღეს საქართველოს ბაზარზე კაკაოს ცხიმის ეკვივალენტისგან დამზადებული პროდუქტი იყიდება, თუმცა, ამაში არანაირი დანაშაული არ არის.

– ყველა კომპანიას წარმოების თავისი შიდა სტანდარტი აქვს, თუმცა, ქვეყანაში შოკოლადის წარმოების არანაირი სტანდარტი არ არსებობს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ დღეს ქვეყანაში შოკოლადს თითქმის არავინ არ აწარმოებს და პროდუქციის შემოტანა ძირითადად უკრაინიდან ხდება, – აცხადებს თოფურია.

მისი განცხადებით, საქართველოში მსგავსი მოთხოვნები არ არსებობს. თოფურიას განცხადებით, შოკოლადის ნედლეული ძალიან ძვირია, ამიტომ საქართველოში უფრო მეტად შოკოლადის შემცველ პროდუქტებს აწარმოებენ. თოფურია აცხადებს, რომ კომპანია „ბუერი" აწარმოებს როგორც შოკოლადს, ისე შოკოლადის შემცველ პროდუქტებსაც, თუმცა, ნამდვილი შოკოლადი ძვირია და მისი გაყიდვები მცირეა.

კითხვაზე, „ბუერის" მიერ წარმოებულ შოკოლადში, კაკაოს შემცველობა რა პროცენტულობითაა, თოფურია ვერ აკონკრეტებს. მისი განცხადებით, საქართველოში დამზადებულ თუ იმპორტირებულ შოკოლადს ყველას აწერია შემცველობა და, ვისაც როგორი ხარისხის უნდა, იმას იყიდის.

– უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო საკონდიტრო ქარხანა „როშენის" მფლობელია. შესაბამისად, მას ამ რეგულაციით თავისი ინტერესების გატარება უნდა. ის ცდილობს, რომ ყველაფერი თავის თავზე მოარგოს, – აცხადებს თოფურია.

თოფურია მიზანშეწონილად არ თვლის იმას, რომ საქართველოში შოკოლადის ევროპული სტანდარტები მოქმედებდეს.

კითხვაზე, აქვს თუ არა საქართველოს იმის პოტენციალი, რომ ევროპული სტანდარტების, საექსპორტო შოკოლადი აწარმოოს, თოფურია განმარტავს, რომ არ აქვს.

– ჯერ ამის პოტენციალი არ არსებობს. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა უნდა მოხდეს, სხვა შემთხვევაში არაფერი შეიცვლება, – აცხადებს თოფურია.

„ბარამბოში" კი აცხადებენ, რომ კომპანია უმაღლესი ხარისხის ნედლეულზე დამზადებულ პროდუქციას აწარმოებს. მისი თქმით, კომპანია თანამშრომლობს ბელგიასთან, საიდანაც ნედლე-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# 16 წლის მეწარმე ქართველ მომხმარებელს: „მეტი ყურადღება დაუთმეთ ქართულ წარმოებას და შეიძინეთ“

16 წლის ქუთაისელი მოსწავლე ქრისტეფორე დარჩაშვილი ყველაზე პატარა მეწარმეა საქართველოში. ის საოჯახო წარმოებით არის დაკავებული. დარჩაშვილი შპს „დეზის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრია და მომხმარებელს სასარგებლო ნაწარმს სთავაზობს, რომელსაც „ჯანი“ ჰქვია. მისი სახელწოდება პროდუქციის ხარისხსა და დანიშნულებას უსვამს ხაზს. კერძოდ, ჯანი არის გარგარისა და ქლიავის ჩირის, ნიგვზის, ქიშმიშისა და თაფლის ნაზავი, რაც ვიტამინების (B1,B6,C,E,) საბადოს წარმოადგენს. ის სასარგებლოა იმუნიტეტისა და ჰემოგლობინისთვის.

***– როდის გამოვიდა ბაზარზე თქვენი პროდუქცია და ძირითადად სად ხდება რეალიზება?***

– კომპანია დაახლოებით 4 თვის წინ დავაარსეთ. დავიწყეთ ქართული 100%-ით ნატურალური პროდუქტის წარმოება, რომელიც არა თუ ქართულ ბაზარზე, არამედ ევროპულ და ამერიკულ ბაზარზეც არ გვხდება. მცირე მეწარმეები ვართ და წარმოებას ძალიან ფაქიზად ვეპყრობით. ნაწარმი არის ქართული, ნედლეულს გლეხებისა და სხვა მეწარმეებისგან ვყიდულობთ, რაც სოფლის მეურნეობის წახალისებასა და მისი ეფექტიანობის გაზრდასთან არის დაკავშირებული.

ნაწარმი, ამ ეტაპზე ქუთაისსა და რუსთავში, სხვადასხვა მარკეტების ქსელში იყიდება. თბილისიდან მოთხოვნა დიდია და იმედია, მალე დედაქალაქსაც ვესტუმრებით. ამ ეტაპზე რამდენიმე მაღაზიასთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და დაახლოებთ სამ თვეში თბილისის მაღაზიებშიც შევალთ.

მსგავსი პროდუქცია არც საქართველოს და არც ევროკავშირის მასშტაბით არ იყიდება და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროდუქცია ევროსტანდარტის ხარისხს აკმაყოფილებს.

***– თქვენ ამბობთ, რომ პროდუქცია ევროსტანდარტებს აკმაყოფილებს. თუ აპირებთ „ჯანის“ ევროპაში გატანას?***

– ჩვენ გეგმაში გვაქვს, რომ ევროპის ბაზარზე შევიდეთ, ინტერესი იქიდან უკვე არის. მეტიც, გვინდა ამერიკაშიც იხილონ „ჯანი“. ჯანის ხარისხი და სასარგებლო თვისებების შესახებ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც უნდა შეიტყონ. ჩვენ ამერიკელებთან მოლაპარაკებებს უკვე ვაწარმოებთ და აპრილში პროდუქციის ექსპორტზე გავიტანთ.



***– ბიზნესის წარმოება ახალი დაწყებული გაქვთ, ხართ ქვეყანაში ყველაზე ახალგაზრდა მეწარმე. საინტერესოა, რას ურჩევდით სახელმწიფოს, რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ქართული წარმოება წახალისდეს? და ასევე რას ურჩევდით მომხმარებლებს?***

– აუცილებელია, რომ სახელმწიფომ ქართული წარმოების განვითარებაზე ისაუბროს და ამას მეტი ყურადღება დაუთმოს. ასევე აუცილებელია, რომ საზოგადოებამაც ქართულს მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს. ქართველ მომხმარებელს ვურჩევ, რომ შეიძინოს ქართული პროდუქცია.

რეკლამა არ გვაქვს, იმ თანხების მოძიება გვიჭირს, რაც რეკლამაში დაგვეხმარებოდა და ამ კუთხით სახელმწიფოს მხრიდან დახმარება გვჭირდება, რომ ქართულ წარმოებას ხელი შეუწყოს. ეს არა მხოლოდ ჩვენი, არამედ ქართული წარმოების წარმატება იქნება.

სახელმწიფომ მცირე ბიზნესის განვითარებას ხელი აუცილებლად უნდა შეუწყოს. ამ ეტაპზე არავინ გვეხმარება და თავად ვუმკლავდებით პრობლემებს. მოგეხსენებათ, ბიზნესის წამოწყებას საკმაოდ დიდი თანხები სჭირდება. სახელმწიფომ შრომა აუცილებლად უნდა დაგიფასოს. ქართული წარმოების განვითარებისთვის მან ყველა რესურსი უნდა გამოიყენოს. საზოგადოებამაც უნდა გააცნობიეროს ის, რომ ქართულის შეძენა მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარების კუთხით.

# საქართველო „მომავლის ერთ-ერთ საუკეთესო საინვესტიციო ლოკაციად“ დაასახელეს

ცნობილმა ბრიტანულმა გამოცემამ „FDI intelligence“ 2017/18 წლისთვის ტურიზმის სფეროში მომავლის საუკეთესო საინვესტიციო ლოკაციები დაასახელა, რომელთა შორის საქართველო ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა. საქართველომ საუკეთესო საინვესტიციო ლოკაციის ჯილდო დაიმსახურა რამდენიმე მიმართულებით: სპა და გამაჯანსაღებელ სექტორში, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმის დარგში, ასევე უცხოელი ვიზიტორების მრავალფეროვნებისა და ქვეყანაში საერთაშორისო ვიზიტორების გამარტივებული პროცედურებით შემოსვლის მიმართულებით საქართველო წამყვანი ქვეყანა გახდა.

ინვესტიცია სასტუმრო ინდუსტრიის დარგში საკმაოდ მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნისთვის, რომელმაც გარდამტეხი ზრდა აჩვენა საერთაშორისო ტურისტების ნაკადით. სწორედ ამიტომ, ტურიზმის სფეროში საქართველო მომავლის ერთ-ერთ საუკეთესო საინვესტიციო ლოკაციად დასახელდა. მიმდინარე წელს, აღნიშნულ სექტორში მთავარ მიღწევად 70 მილიონი ევროს ოდენობით განხორციელებული ინვესტიცია ითვლება, რომელიც 7 ვარსკვლავიანი სასტუმროს – „Biltmore Hotel Tbilisi“ მშენებლობისთვის გამოყო უცხოელმა ინვესტორმა, ხოლო 25 მილიონი ევროს ინვესტიცია განხორციელდა 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს „Castello Mare Hotel & Wellness Resort“ მშენებლობისთვის, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის სექტორში 2017 წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა სპა და გამაჯანსაღებელი ინდუსტრია, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს ინვესტორების მოსაზიდად და წყალტუბოში სპა და გამაჯანსაღებელი ქალაქის განვითარებისათვის. ხსენებული სექტორი ხელს უწყობს საქართველოს წარმოაჩინოს საკუთარი კონკურენტული უპირატესობები და მოიზიდოს მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. სწორედ რომ მოცემული მიმართულების მეშვეობით საქართველომ განსაკუთრებული ჯილდო მიიღო სპა და გამაჯანსაღებელ სექტორში, როგორც საუკეთესო საინვესტიციო ლოკაციამ.




ამასთანავე, ხაზი უნდა გაესვას, რომ თითოეულ უცხოელ ინვესტორს, რომელიც საქართველოს ბაზრით არის დაინტერესებული, შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სახელმწიფოს მიერ ინიცირებული პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტით, რომელიც მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებსა და საკონსულტაციო მომსახურებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვა და „ფრენჩაიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადების თანადაფინანსება“.

– აღნიშნული პროექტის არსებობის გათვალისწინებით, საქართველომ ჯილდო მოიპოვა ფინანსური მხარდაჭერის ნაწილშიც, რომელიც ხელს შეუწყობს უცხოელ ინვესტორებს განახორციელონ მასშტაბური პროექტები ტურიზმის მიმართულებით.

2016 წლის განმავლობაში საქართველოში 6.35 მილიონზე მეტი უცხოეთის მოქალაქე იმყოფებოდა, რაც წინა წელთან შედარებით 7.6%-ით მეტია, ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტების ეთნიკური მრავალფეროვნება საკმაოდ მნიშვნელოვანი კომპონენტია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის და შესაბამისად, საქართველომ სტუმრების მრავალფეროვნების დარგშიც მიიღო განსაკუთრებული ჯილდო.

2015 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ აამოქმედა ელექტრონული ვიზის (e-Visa) პორტალი, რომელიც გამარტივებული წესით სთავაზობს ვიზის მიღების შესაძლებლობას იმ პირებს, რომლებიც მოკლევადიანი მიზნით სტუმრობენ საქართველოს. უცხო ქვეყნის მოქალაქე საქართველოს საელჩოში ან საკონსულოში გამოცხადების გარეშე, სამი მარტივი საფეხურის გავლით მიიღებს მოკლევადიან ვიზას. ეს საფეხურებია: განაცხადის რეგისტრაცია, ონლაინ გადახდა და ელექტრონული ვიზის ამობეჭდვა. პორტალის მეშვეობით ვიზის მიღებას ბევრი უპირატესობა აქვს. არ საჭიროებს მიღებაზე ჩაწერას, ან დოკუმენტაციის წარდგენას საელჩოში თუ საკონსულოში. ელექტრონული ვიზის მიღება მარტივად, ინტერნეტის მეშვეობით შეიძლება და ის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის ისეთივე უფლებას იძლევა, როგორსაც ჩვეულებრივ პასპორტში ჩაკრული ვიზა. სწორედ აღნიშნული შესაძლებლობების გათვალისწინებით, საქართველომ ქვეყანაში გამარტივებული პროცედურებით შემოსვლის ჯილდო (Ease of Entry award) დაიმსახურა, – აცხადებს ცნობილი ბრიტანული გამოცემის „FDI intelligence“ რედაქტორი.

შეგახსენებთ, რომ „აწარმოე საქართველოში – ინვესტიციის“ მიმართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ მოდერატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში.

# დისტრიბუტორთა ასოციაცია თბილისის მერს ურჩევს, ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მიიღოს

დედაქალაქის მერის ინიციატივით, თბილისში სადისტრიბუციო მანქანების გადაადგილებაზე შესაძლოა შეზღუდვები დაწესდეს. ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ კომპანიების წარმომადგენლები თბილისის მერის მოადგილეებს ირაკლი ხმალაძესა და მაია ბითაძეს შეხვდნენ. როგორც „კომერსანტთან“ საუბრისას დისტრიბუტორთა ასოციაციის დამფუძნებელი ივა ჭყონია აცხადებს, ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია, რომ მერიამ სპეციალური კვლევა ჩაატაროს.

დედაქალაქის მერმა თბილისში საცობების შემცირების მიზნით დისტრიბუციის მანქანების გადაადგილების შესაძლო შეზღუდვასთან დაკავშირებით განცხადება ორი დღის წინ გააკეთა. კახა კალაძემ საკუთარ მოადგილეებს სადისტრიბუციო კომპანიებთან მოლაპარაკებების სწრაფად დაწყება დაავალა.



დისტრიბუტორთა ასოციაციის დამფუძნებელი ივა ჭყონია „კომერსანტთან“ საუბრისას დედაქალაქის მერს ურჩევს, რომ სადისტრიბუციო კომპანიებთან და რითეილერებთან მოლაპარაკებების შემდეგ კვლევა დაიდოს და გადაწყვეტილება ისე მიიღონ.

– დღეს, დედაქალაქის მერის მოადგილეებს უნდა შევხვდეთ და ამ თემაზე ვიმსჯელებთ. როგორც კი კახა კალაძემ ამის შესახებ პირველად განაცხადა, ჩვენ მზადყოფნა გამოვთქვით და ასოციაციაში განხილვები დავიწყეთ. ევროპული გამოცდილება მოვიპოვეთ. ევროპულ ქალაქებში დიფერენცირებულად არის ეს საკითხი მოგვარებული და ერთგვაროვანი მოდელი არ არსებობს. ესპანეთში, ავსტრიაში, გერმანიაში ღამით დისტრიბუციის მანქანების სიარულის გამო, მოსახლეობას ხმაური აწუხებს და საჩივრებს წერენ. გარდა ამისა, ევროპის ქვეყნებში საცალო სუპერმარკეტები ძირითადად ბენზინგასამართ სადგურებზეა წარმოდგენილი და არა დედაქალაქში ერთმანეთის გვერდი-გვერდ. ჩვენ განვითარების სხვა ეტაპზე ვართ. ისეთი მოდელი უნდა ავარჩიოთ, რომ ჩვენს სტანდარტებს მოერგოს. დედაქალაქის მერს პირველ რიგში ვურჩევთ, რომ ბაზრის კვლევა ჩატარდეს, რათა პირველ ეტაპზე ასეთი გადაწყვეტილების მიღება მტკივნეული არ იყოს, – აღნიშნა ივა ჭყონიამ.

მისივე თქმით, ღამის საათებში სადისტრიბუციო მანქანების მუშაობა სადისტრიბუციო კომპანიებსა და რითეილერებს ხარჯებს გაუზრდის.

– ეს არ არის მარტივად გადასაწყობი საქმე. სადისტრიბუციო კომპანიებზე უფრო მეტად მტკივნეულად ეს თემა შეიძლება რითეილსექტორს შეეხოს. ქსელურ სუპერმარკეტებში ძირითადად პროდუქტის მიღება საღამოს 18-20 საათამდე ხდება. 24- საათიან რეჟიმში საქართველოში არსებული სუპერმარკეტების 10% მუშაობს. ღამის საათებში მენეჯერები ადგილზე არ არიან, ანუ პროდუქციას ვერავინ მიიღებს. ამდენად, ამ ინიციატივის დანერგვა და ღამით მუშაობა დისტრიბუციასა და რითეილერებს ზედმეტ ხარჯად დააწვება. კომპანიებს ღამით მუშაობისთვის თანამშრომლებისთვის შედარებით მაღალი ხელფასის გადახდა მოუწევთ. იმედი მაქვს, გადაწყვეტილება პრინციპულად არ იქნება მიღებული. სწრაფი გადაწყვეტილების მიღება იქნება მტკივნეული. ორი წლის შემდეგ კი სექტორი უფრო მომზადებული შეხვდება პრობლემას, – აცხადებს ივა ჭყონია.

რაც შეეხება საცობების ერთ-ერთ მიზეზად სადისტრიბუციო მანქანების დასახელებას, ჭყონია ამბობს, რომ აღნიშნული მანქანები შესაძლოა საცობების პრობლემას საერთოდ არ ქმნიდნენ.

– ვერ გეტყვით, დღის განმავლობაში სპეციალური საათების გამოყოფა გაამართლებს. ზოგადად ვეჭვობ, რომ სადისტრიბუციო მანქანები ასეთ გლობალურ პრობლემას ქმნიდნენ. რაც ნაკლები მანქანა ივლის, რა თქმა უნდა, ქალაქის ქუჩები განიტვირთება, მაგრამ ნეიტრალურმა ორგანიზაციამ კვლევა უნდა ჩაატაროს, რამდენად ქმნიან პრობლემას. დედაქალაქის მერის ინიციატივა კარგია, იმ კუთხით, რომ საცობებს თავს ავარიდებთ, პარკინგის პრობლემა არ გვექნება, თუმცა ბევრი ფაქტორია, რაზეც დედაქალაქის მესვეურებთან საუბარი გვექნება, – აღნიშნავს ივა ჭყონია.

# თინა ხიდაშელი: „ბაგა-ბაღებთან დაკავშირებით გიორგი კვირიკაშვილის განცხადება დაუსაბუთებელი, ულოგიკო და არასწორია“



თავდაცვის ყოფილი მინისტრი თინა ხიდაშელი მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ბაგა-ბაღებთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება „დაუსაბუთებელი, ულოგიკო და არასწორია“.

თინა ხიდაშელი სოციალურ ქსელში ვრცელ განმარტებას აკეთებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

– სრულიად ქართული მედია მირეკავს, რომ პრემიერს ბაგა-ბაღების შესახებ გაუკეთებია განცხადება და როგორ შეაფასებთო. დიდი მადლობა, რომ გახსოვთ ამ თემაზე ჩემი ჯერ საკრებულოში, უგულავას წინააღმდეგ ბრძოლა და შემდეგ პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მაშინდელ უმრავლესობაშიც არ იყო პოპულარული, მაგრამ მაინც გავიტანეთ და ბაგა-ბაღები გახდა სრულიად უფასო.

რაც შეეხება ბატონი კვირიკაშვილის ინიციატივას. მის მიერ ჩამოყალიბებული აზრი: „მოთხოვნა დიდია, ვერ ავუდივართ ფინანსურ ვალდებულებას, ამიტომ ფასიანი უნდა გავხადოთ“ სრულიად დაუსაბუთებელი, ულოგიკო და არასწორია, შემდეგი მიზეზებით: არაფერი, რაშიც სახელმწიფო ბიუჯეტი ფულს იხდის, არ არის მოქალაქისთვის უფასო. ბიუჯეტი ჩვენს მიერ გადახდილი გადასახადებით დგება. შესაბამისად, კითხვა მხოლოდ იმაშია, ორჯერ გადავუხადოთ სახელმწიფოს ფული თუ ერთხელ;

ქვეყანაში კონსტიტუციით განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და, შესაბამისად, ეს ნიშნავს მისი ბიუჯეტიდან დაფინანსების ვალდებულებას. კანონმდებლობით საბავშვო ბაღი ამ სისტემის შემადგენელი რგოლია და მისი ბოლო ეტაპი კი სავალდებულო სკოლისთვის მოსამზადებლად. შესაბამისად, ის ბიუჯეტიდან უნდა ფინანსდებოდეს;

როდესაც პრემიერი, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრები მზარდი ბიუჯეტით და ეკონომიკით ამაყობენ, ელემენტარულია, რომ ბიუჯეტის რიცხვები კი არ უნდა იყოს საამაყო, არამედ ის მომსახურება და სასარგებლო საქმე, რომელიც ამ რიცხვების უკან დგას;

განათლება და განათლებული ადამიანი რომ „ოცნების“ პრიორიტეტი არ არის, ეს გავიგეთ, არ არის საიდუმლო. წელიწადზე მეტი განათლების მინისტრი გვყავდა, რომელიც ზღაპრის გმირებს ებრძოდა და ვერც ერთი მნიშვნელოვანი ძვრის განხორციელება ვერ გაბედა სისტემაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დანარჩენიც ასე უნდა ვფიქრობდეთ;

საბავშვო ბაგა-ბაღების ხელმისაწვდომობა, ანუ ყველასთვის გარანტირებული, გარდა მისი პირველადი ფუნქციისა, უმნიშვნელოვანესი დასაქმების პროგრამაა, ვინაიდან დედებს დასაქმების შესაძლებლობას აძლევს; ასევე უზარმაზარი სოციალური მნიშვნელობის პროგრამაა ქალის და მამაკაცისთვის თანაბარი და უკეთესი შესაძლებლობების, სრულფასოვანი რეალიზების, არჩევანის თავისუფლების გზაზე.

სანამ ამ განცხადებას გააკეთებდა ბატონი კვირიკაშვილი, თუ დაინტერესდა, რამდენია ეს რომ ვერ ავუდივართ ფინანსური ვალდებულება და, მაგალითად, დიდი ქალაქის შემთხვევაში ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის დროს როგორ დგება პრიორიტეტები, რომ, მაგალითად, საბავშვო ბაღებში 4 წლის ბავშვების კვებას უნდა მოვაკლოთ თანხები, მაგალითად, საკრებულოში ერთ პარტია „ოცნებას“ რომ რამდენიმე ფრაქცია ჰქონდეს, შესაბამისი თანამდებობის პირების ხელფასებით, მანქანებით, საწვავით, პრემიით, ხელშეკრულებით დაქირავებული პარტიული აქტივისტებითა და სხვა.

ლოგიკურად ისმის შეკითხვა: ეს ბავშვები შემდეგ სკოლებში მიდიან და, შესაბამისად, იქაც ხომ არ აპირებენ საბიუჯეტო დაფარვის გაუქმებას?

ასევე ლოგიკური შეკითხვაა, ხვალ ხარჯების ზრდის კვალდაკვალ საყოველთაო დაზღვევაზეც ხომ არ იტყვის უარს, ვინაიდან სამწუხაროდ დაბერების ტენდენციის ერი ვართ, ეს თავისთავად, ბუნებრივად იწვევს ამ სეგმენტში ხარჯების ზრდას;

შეცდომაა ხარჯების ზრდის გამო საფასურის დაწესების მოთხოვნა. სწორია, პირველ რიგში დაგვანახონ და საზოგადოება დაარწმუნონ იმ პრიორიტეტების სისწორეში, რომლითაც საბიუჯეტო რესურსი იხარჯება. თორემ არ დაიზარებს ვინმე ინტრიგანი ანტისახელმწიფოებრივი სოროსელი და დაგითვლით ერთ დღეს ყველა სულელურ, ძალაუფლებით ტკბობით გაწეულ ხარჯს და შეუფარდებს 4-5 წლის ბავშვების კვების ხარჯებს და ძალიან, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით ბატონებო და მგონია, შეგრცხვებათ კიდეც, – წერს თინა ხიდაშელი.

# კახა კალაძე ბაღებში გადასახადზე — პრიორიტეტების განსაზღვრა სწორად უნდა მოხდეს

ჯერ გაგვიჭირდება ამაზე კონკრეტული პასუხის გაცემა. სამუშაო არის, სამსჯელო არის და, რა თქმა უნდა, ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას, როდესაც კონსულტაციები გაიმართება.

ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის მერმა კახა კალაძემ განუცხადა, რითაც პრემიერ-მინისტრის პოზიციას გამოეხმაურა იმასთან დაკავშირებით, რომ გარკვეულმა ოჯახებმა საბავშვო ბაღებში გადასახადი უნდა გადაიხადოს.

როგორც კალაძემ აღნიშნა, საუკეთესო გამოსავალი იქნება მოძებნილი.

– საუკეთესო გამოსავალს ვნახავთ. ზოგადად, რეფორმაა გასატარებელი სოციალურად დაუცველების მიმართულებითაც. მოძველდა ის არსებული სტატუსი და ვფიქრობ, ამას გადახედვა სჭირდება. ყველაფერი უნდა დავიწყოთ ბავშვებიდან, პატარებიდან, რომ იმათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება დღეს დახმარება და თანადგომა, სახელმწიფო ძალიან დიდ ფულს ხარჯავს და შესაბამისად, სწორად მოხდეს პრიორიტეტების განსაზღვრა. დავეხმაროთ იმ ოჯახებს, რომლებსაც ყველაზე მეტად უჭირს და სჭირდება, – განაცხადა კალაძემ.

კითხვაზე, რა ტიპის ოჯახებს და რა ოდენობის თანხას გულისხმობდა პრემიერ-მინისტრი, თბილისის მერის განცხადებით, ეს იყო ზოგადი განცხადება, მასზე იქნება მსჯელობა.

შესაბამისად, როდესაც გვექნება სრული სურათი, როდესაც გვეცოდინება რა პრობლემაა, როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემები, აუცილებლად წარმოვადგენთ გეგმას, თუ რის განხორციელებას ვაპირებთ, – განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, უახლოეს მომავალში, როდესაც მუშაობა დასრულდება, ყველაფერი იქნება ცნობილი.



# „ბაღებში გადასახადის ოდენობას მთავრობა დაადგენს“

– თბილისის საბავშვო ბაღებში გადასახადის საკითხს მთავრობა დაადგენს, – თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა კახაბერ გვანცელაძემ „კომერსანტთან“ პირველ კომენტარი გააკეთა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ფასიანი სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით გუშინ განცხადება პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პარლამენტში გააკეთა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, „ეს საკითხი შესაძლოა საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს“. მისი თქმით, საბავშვო ბაღებში ფინანსურ რესურსზე მოთხოვნა კატასტროფულად იზრდება, რასაც დედაქალაქის ბიუჯეტი ველარ აუდის.

– დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთად გამოვნახავთ იმ გზას, რომ, ერთი მხრივ, ეს მზარდი მოთხოვნა საბავშვო ბაღებზე ჩვენ დავაკმაყოფილოთ, მაგრამ, მეორე მხრივ, მოვნახოთ მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, ძალიან შეძლებული ადამიანებისთვის და ეს არ უნდა იყოს 70 ათასი ქულა, ეს უნდა იყოს უფრო მაღალი ბარიერი, გაცილებით უფრო, ორჯერ, სამჯერ მაღალი ბარიერი, მაგრამ გარკვეული ტიპის ოჯახებისთვის, რომლებსაც ყველანაირი საშუალება გააჩნიათ, რომ ბაღის გადასახადი გადაიხადონ, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

კახაბერ გვანცელაძე „კომერსანტთან“ მცირე კომენტარით შემოიფარგლა და განაცხადა:




– როგორც პრემიერმა თავად აღნიშნა, ეს არის იდეა, რომელიც განხილვის პროცესშია. რა გადაწყვეტილებასაც მიიღებს სახელმწიფო და ცენტრალური მთავრობა, შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებას ჩვენ დავექვემდებარებით, – აცხადებს გვანცელაძე.

კითხვაზე, აღნიშნული ინიციატივა მთავრობისგან წამოვიდა, თუ ბაღების სააგენტოც იყო საქმის კურსში, კახაბერ გვანცელაძე კომენტარს არ აკეთებს. ამასთან, მისივე თქმით, თუ რა ეღირება საბავშვო ბაღში სიარული და მსგავს დეტალებზე, ამ ეტაპზე ვერ ისაუბრებს.

შეგახსენებთ, რომ 2013 წლამდე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ერთ ბავშვზე გადასახადი 40-დან 50 ლარამდე მერყეობდა, 2013 წლიდან კი მთელი ქვეყნის მასშტაბით საბავშვო ბაღები უფასო გახდა.

დედაქალაქის ბიუჯეტიდან 2012 წელს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობისთვის 27.987.0 ათასი ლარი დაიხარჯა, 2013 წელს, როდესაც ბაღები უკვე ფასიანი გახდა – 55.760.0 ათასი ლარი. ამის შემდეგ ბაღების დაფინანსების ბიუჯეტი წლიდან წლამდე იზრდებოდა. 2017 წელს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 94.881.0 ათასი ლარი გამოიყო, თუმცა ბიუჯეტი გაიზარდა და ბიუჯეტის გეგმის მიხედვით, ჯამში მიმდინარე წელს 101.543.9 ათასი ლარი დაიხარჯება. რაც შეეხება დედაქალაქის მომავალი წლის ბიუჯეტს, საბავშვო ბაღების დაფინანსებისთვის 101.055.8 ათასი ლარია გამოყოფილი. როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, 2012 წელთან შედარებით 2017 წელს თბილისის ბიუჯეტს ბაღების შენახვა თითქმის 4-ჯერ გაეზარდა.

# „საქართველოში 100 პროცენტით შოკოლადს არავინ აწარმოებს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ულის სახით კაკაოს პროდუქტები შემოაქვს და გადამუშავებას ადგილზე ახდენს.

მათივე ინფორმაციით, ის ფაქტი, რომ კომპანიას ნედლეული ბელგიიდან შემოაქვს, არის იმის გარანტი, რომ გამოშვებული პროდუქციაც ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს. კომპანიის განმარტებით, 2017 წლის აგვისტოდან საქართველოში ამოქმედდა ევროდირექტივა, რომელის შოკოლადის წარმოების პროცესში ცხიმების პროცენტულობას განსაზღვრავს. „ბარამბოში“ ეს სტანდარტი მაქსიმალურად დაცულია“, – აცხადებენ კომპანიაში.



კითხვაზე, აუცილებელია თუ არა საქართველოში მოქმედებდეს შოკოლადის წარმოების საერთაშორისო სტანდარტები, „ბარამბოში“ განმარტავენ, რომ ისინი საქმის კურსში არ არიან, დეტალურად რისი შემოღება ხდება უკრაინაში, შესაბამისად, კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდებათ.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, მოქმედებს თუ არა საქართველოში შოკოლადის წარმოების რაიმე სტანდარტი? თუ ამოწმებს ბაზარზე არსებულ შოკოლადს სურსათის უვნებლობის სამსახური და სტატისტიკურად, რა პროპორციითაა წარმოდგენილი ბაზარზე როგორც 100 პროცენტით შოკოლადისგან და შოკოლადის შემცველებისგან წარმოებული ტკბილეული?

სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, უწყება ამოწმებს სასურსათო პროდუქტების, მათ შორის შოკოლადის უვნებლობის სტანდარტებს. რაც შეეხება ტექნოლოგია, მისი სტანდარტები და სტატისტიკა, სააგენტოს განცხადებით, მათი კომპეტენცია არ არის.

ერთადერთი ინფორმაცია, რომელიც შოკოლადის ბაზარს ეხება, სააგენტო GAMMA-ს მიერ ჩატარებული კვლევაა, რომლის მიხედვითაც საქართველოში შოკოლადის ბაზრის 78% 3 კომპანიაზე მოდის. ორგანიზაციის ინფორმაციით, ბაზარზე 500-ზე მეტი ნაირსახეობაა წარმოდგენილი. შეფუთული შოკოლადის მთლიანი ბაზრიდან ფილებზე 50%-ი მოდის. სწორედ შოკოლადის ფილების სეგმენტში გაყიდვებით ლიდერობენ Mondelez International, Barambo, Nestle, დანარჩენ მწარმოებლებზე რეალიზაციის მხოლოდ 22% მოდის.

გემოს მიხედვით ყველაზე დიდი პოპულარობით შოკოლადის ფილა თხილითა და სხვა დანამატებით სარგებლობს, რომელზეც ბაზრის 69% მოდის, მხოლოდ თხილით კი – 6%. შავი შოკოლადის ფილას წილი 16% შეადგენს, კლასიკური რძიანი შოკოლადის – 14%, თეთრი შოკოლადის ფილას გაყიდვების წილი მხოლოდ 1%-ია.

რაც შეეხება ისევ უკრაინას, როგორც უკრაინის ევროინტეგრაციის მინისტრის მოადგილე, აგრარული პოლიტიკის და სურსათის საკითხებში ოლგა ტროფიმცევა აცხადებს, შოკოლადი სტანდარტების დადგენილების მიხედვით, კატეგორიულად იკრძალება შოკოლადში ყოველგვარი არომატიზატორების ან საღებავების დამატება, რომლებიც შოკოლადის გემოს იმიტაციას ახდენენ. ნებადართული იქნება გარკვეული რაოდენობის მცენარეული ზეთების დამატება, თუმცა ამ შემთხვევაში უნდა იყოს სათანადო მითითება შეფუთვაზე.

– ევროპული სტანდარტების დანერგვა ხელს შეუწყობს უკრაინული შოკოლადის ხარისხის ზრდას და, შესაბამისად, ევროკავშირში ამ პროდუქტის ექსპორტს, – განაცხადა ტროფიმცევამ. მისი თქმით, 2018 წლის ბოლომდე იგეგმება კვების მრეწველობაში 150 სხვადასხვა ევროპული ნორმის დანერგვა.

# გაერომ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებას მხარი არ დაუჭირა



გაეროს გენერალურმა ასამბლეამ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებას მხარი არ დაუჭირა. აღიარების მხარდაჭერის წინააღმდეგი 125 სახელმწიფო აღმოჩნდა, 35 – მომხრე, თავი 9-მ შეიკავა.

აშშ-ის წარმომადგენელმა გაეროში ნიკი ჰეილიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა იერუსალიმს ისრაელის დედაქალაქად მაინც აღიარებს და საელჩოსაც იქ გადაიტანს.

– ეს ჩვენი უფლებაა, – თქვა ჰეილიმ.

# კატალონიის პარლამენტის არჩევნებში სეპარატისტებმა გაიმარჯვეს




კატალონიის პარლამენტის არჩევნებში კვლავ სეპარატისტებმა გაიმარჯვეს. ისინი კატალონიის ესპანეთისაგან გამოყოფას მოითხოვენ.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ადგილი არჩევნებზე პარტია „მოქალაქეებმა“ დაიკავა, რომელიც მხარს უჭერს კატალონიის ესპანეთის შემადგენლობაში დარჩენას, კატალონიის ესპანეთისგან გამოყოფის პარტიებმა ჯამში მეტი ხმა მიიღეს.

კატალონიის მომავალ პარლამენტში პარტია „მოქალაქეები“ 37 ადგილს მიიღებს, ხოლო კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრე სამი პარტია ჯამში 70 ადგილს დაიკავებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ ბელგიაში გაქცეული კატალონიის ყოფილი ხელმძღვანელის კარლეს პუჩდემონის პარტიამ „ერთად კატალონიისთვის“ 34 ადგილი მიიღო პარლამენტში.

საბოლოოდ, ესპანეთისგან გამოყოფის მომხრე პარტიებმა ხმების 48% დააგროვეს, პრომადრიდულმა მოქალაქეთა პარტიამ კი – 37%, თუმცა ეს უკანასკნელი არსებითი კოალიციის ჩამოყალიბებას ვერ შეძლებს.

– არჩევნებში გაიმარჯვა კატალონიის რესპუბლიკამ, რაც სახეში სილის გაწვნაა ესპანეთის პრემიერ-მინისტრ მარიანო რახოისთვის. ვფიქრობ, ჩვენ უნდა მოგვისმინონ, – განაცხადა ბრიუსელში მყოფმა კარლეს პუჩდემონმა.

ექსპერტების მოსაზრებით, არჩევნებში გამოყოფის მომხრეების პარტიების გამარჯვება შესაძლოა დიდი დარტყმა იყოს მარიანო რახოის მთავრობისთვის. ეს უკანასკნელი იმედოვნებდა, რომ ამ არჩევნებით დამოუკიდებლობის მოძრაობას წერტილი დაესმებოდა. ასეთი შედეგი ვერ დაასრულებს პოლიტიკურ კრიზისს ესპანეთში, რომელიც რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ დაიწყო.

# ლატვიაში მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები სტატუსით გაათანაბრეს



ლატვიის პარლამენტმა ისტორიული დადგენილება მიიღო. მის თანახმად, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს სტატუსი გაუთანაბრდათ. საუბარია ლატვიის მოქალაქეებზე, რომლებიც როგორც საბჭოთა კავშირის მხარეს, ასევე მის წინააღმდეგაც იბრძოდნენ. ახლა ყველა მათგანს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის სტატუსი მიენიჭა.

როგორც ცნობილია, ლატვიელები როგორც საბჭოთა, ასევე გერმანულ არმიაშიც მსახურობდნენ. სსრკ-ში ლატვიელ მსროლელთა ნაწილები ჩამოყალიბდა. ისინი წითელი არმიის შემადგენლობაში ჰიტლერელთა წინააღმდეგ იბრძოდნენ. გერმანელებმა, თავის მხრივ, ლატვიური ლეგიონი შექმნეს. ამას გარდა, არსებობდა ლატვიის გამათავისუფლებელი არმია (სარდალი გენერალი კურელისი), რომელიც როგორც გერმანელების, ასევე რუსების წინააღმდეგ იბრძოდა. მისი მიზანი დამოუკიდებელი ლატვიური სახელმწიფოს აღდგენა იყო.

ლატვიის პარლამენტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ 1940 წლის ივნისში ლატვიურმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა, რადგანაც ქვეყანა სსრკ-ის მიერ იყო ოკუპირებული. 1941 წელს ოკუპანტი გერმანელებმა შეცვალეს. ლატვიაც გერმანიის ნაწილი გახდა. ლატვიის სახელმწიფო პასუხს არ აგებს არც მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაზე, არც ებრაელთა მასობრივ ხოცვა-ჟლეტაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ წლებში.

# რუსეთის გენპროკურორის ვაჟი მაგნიტსკის სიაში შეიყვანეს



აშშ-ის ხელისუფლებამ რუსეთის გენერალური პროკურორის ჩაიკას ვაჟი არტიომი მაგნიტსკის სიაში შეიყვანა.

აქ ის პირები შეჰყავთ, რომლებსაც ბრალად კორუფცია, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცება, აგრეთვე მკვლელობები და პოლიტიკური ოპონენტების დევნა ედებათ.

თავად არტიომ ჩაიკამ მომხდარი პოლიტიკურ ზეწოლად შეაფასა.

– მამაჩემი რუსეთის გენერალური პროკურორია და ქვეყნის ინტერესებს იცავს. ვაშინგტონიც ამის გამო განმირისხდა, – განაცხადა მან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# რას მოუტანს რეგიონს აშშ-ჩინეთის დაპირისპირება

მარიამ მჭედლიშვილი



„ახალი თაობა“ რამდენიმე დღის წინ წერდა, რომ აშშ-ის ახალი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მთავარ საფრთხედ დასახელებულია ჩინეთი.

საქართველოს საგარეო პოლიტიკისათვის ეს უხერხულობას ქმნის იმის გამო, რომ აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, ჩინეთთან კი ქვეყანას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე. საქართველო ასევე ჩართულია ახალი აბრეშუმის გზის პროექტში.

პეკინის მიმართ პრეტენზიები გამოუთქვამს ბარაქ ობამას. იგი ჩინეთს ბრალად სდებდა სამრეწველო შპიონაჟსა და კიბერშეტევებს. ჩინეთის ეკონომიკურ დანაშაულებზე აკეთებდა აქცენტს დონალდ ტრამპი თავისი საარჩევნო კამპანიის დროს.

დღეს ამერიკელი ექსპერტები აცხადებენ, რომ აშშ-ის ახლანდელი ადმინისტრაციის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია პრეზიდენტის წინასაარჩევნო განცხადებების გაგრძელებაა. ტრამპის ახალი სტრატეგია ასახავს საგზაო რუკას ჩინეთთან უფრო გადამწყვეტი დაპირისპირებისათვის. იგი გულისხმობს მოქმედებებს სამხედრო, ეკონომიკის, დიპლომატიისა და საინფორმაციო სფეროებში.

ანალიტიკოსების შეფასებით, ამერიკის სტრატეგია თანამედროვე გეოპოლიტიკის მთავარ მამოძრავებელ ძალად აღიარებს ამერიკა-ჩინეთის მეტოქეობას.

ამასთან, ისინი მიიჩნევენ, რომ ვაშინგტონმა ამ მხრივ დააგვიანა, ვინაიდან პეკინი აშშ-ს თავის მთავარ კონკურენტად თვლის ცივი ომის დამთავრების დროიდან.

შექმნილ სიტუაციაში, ანალიტიკოსების თქმით, ტრამპის ადმინისტრაცია უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში თავის მთავარ პარტნიორად ინდოეთ-წყნარი ოკეანეების რეგიონში მიიჩნევს ინდოეთს. აშშ-მ დელის უკვე გადასცა მოწინავე შეიარაღება. გათვალისწინებულია ურთიერთობების გაღრმავება იაპონიასთან და ავსტრალიასთან.

ექსპერტების აზრით, ჩინეთთან ეკონომიკური კონკურენცია მკაცრ ზომებს საჭიროებს. პირველ რიგში, ეს ზომები იმ ორგანიზაციებს უნდა შეეხოს, რომლებიც ამერიკულ ინტელექტუალურ საკუთრებას ითვისებენ. მთლიანობაში, სტრატეგია მოითხოვს ბიუროკრატიულ ცვლილებებს.

მიმომხილველებმა სტრატეგიაში ნაკლიც შენიშნეს. მათი აზრით, დოკუმენტში არ ჩანს აშშ-ის, როგორც მსოფლიოს ლიდერის როლი. გარდა ამისა, სტრატეგიაში წინააღმდეგობებიც იკვეთება. აქაა კონფლიქტი პრეზიდენტის იზოლაციონისტურ იმპულსებსა და მისი თანაშემწეების შეხედულებებს შორის. ისინი საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში აშშ-ის აქტიური მონაწილეობის მომხრენი არიან.

წინა პერიოდისაგან განსხვავებით, ვაშინგტონი მეტ დაინტერესებას იჩენს სირიის მიმართ. ახალი ინფორმაციით, პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი ბრეტ მაკგურკი აცხადებს, რომ აშშ სირიიდან არ გამოდის.

მისი თქმით, სირიიდან მთელი კონტინგენტი რუსეთსაც არ გამოუყვანია. ამას არც აშშ აპირებს. სპეცწარმომადგენლის სიტყვებით, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ სრულად დამარცხებული არ არის.

ისლამურ სახელმწიფოს შეძლებისდაგვარად ებრძოდა ჩინეთი. ოფიციალური პეკინის შეფასებით, სირიელი ტერორისტების განადგურებაში უზარმაზარი წვლილი მიუძღვის რუსეთს.

ჩინელი ინვესტორები ინტერესს იჩენენ რუსეთის მიერ მიტაცებული ყირიმის მიმართ. მოსალოდნელია, რომ ნახევარკუნძულზე ისინი ფულს ჩადებენ. პეკინი მოსკოვთან თანამშრომლობს სხვადასხვა სფეროში.

ჩინეთის მიერ გამოცხადებული პროექტი „ერთი სარტყელი – ერთი გზა“ მსოფლიოსთვის მნიშვნელოვნად ითვლება. მან დასავლეთი ჩინეთი ევროპასთან უნდა შეაერთოს.

ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ ჩინეთი არ ასახელებს ამ პროექტის კონკრეტულ მარშრუტებს. განიხილება სხვადასხვა სარკინიგზო მიმართულება. ამით ჩინეთი სხვადასხვა მხარის დაინტერესებას ცდილობს. გადაზიდვები ყველას ვერ შეეხება. ამისათვის ერთი ან, უკიდურეს შემთხვევაში, ორი დერეფანი იქნება გამოყენებული.

**მალამო „მენტორი პირველი“**

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

**სითხე მენტორი — 4**

**დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.**

**გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.**

**☎ 599-73-48-21**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# დავით დოიაშვილი საუკეთესო რეჟისორად დაასახელეს



თეატრალურმა პრემია „დურუჯმა“ საუკეთესოები დაასახელა. რიგით IX დაჯილდოების ცერემონიაზე გამარჯვებულები ჟიურის წევრებმა გამოავლინეს.

საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევრისთვის ჯილდო გადაეცა დავით დოიაშვილს სპექტაკლისთვის „ბალიშის კაცუნა“, რომელიც მან ვასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკისა და დრამის თეატრში განახორციელა.

საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ნომინაციის გამარჯვებული კახა კინწურაშვილი გახდა სპექტაკლ „ბალიშის კაცუნაში“ შესრულებული როლისთვის.

საუკეთესო მსახიობი ქალის ნომინაციაში გაიმარჯვა ნატუკა კახიძემ სპექტაკლში „კატარინა ბლუმის შელახული ღირსება“ შესრულებული როლისთვის.

ნომინაციაში საუკეთესო სცენოგრაფი გაიმარჯვა თამარ ოხიკიანმა ფოთის თეატრში სპექტაკლ „ორკესტრის ტიტანიკის“ მუშაობისთვის.

საუკეთესო თანამედროვე პიესის ავტორი კი თამთა მელაშვილი გახდა. მან თეატრალური პრემია „დურუჯი“ პიესისა „გათვლისთვის“ მიიღო.

„დურუჯი“ პირველი დამოუკიდებელი თეატრალური პრემიაა, რომელიც საქველმოქმედო ფონდ „ცისკრისა“ და „რედიქს ჯგუფის“ ორგანიზებით უკვე მეცხრედ ჩატარდა.

2017 წელს პრემიაზე ჯამში 18 თეატრის 33 განაცხადი იქნა შეტანილი. 5 წევრისგან დაკომპლექტებული ჟიური ნომინირებულ სპექტაკლებს 3 თვის განმავლობაში აფასებდა, რის შედეგადაც შეირჩა მეორე ტურში მონაწილე 23 ნომინანტი.

დაჯილდოების დღეს, ღონისძიებამდე რამდენიმე საათით ადრე, ჩატარდა ფარული კენჭისყრა ჟიურის წევრებს შორის, რომლებმაც 21 ნომინანტიდან ხუთ კატეგორიაში საბოლოო გამარჯვებულები გამოავლინეს.

# სალიტა ჩუბინიძემ დიზაინერობა დაიწყო



იუმორისტული გადაცემა „თქვენი შოუს“ მსახიობმა სალიტა ჩუბინიძემ დიზაინერობა დაიწყო.

მას შემდეგ, რაც „თქვენი შოუ“ დაიხურა, სალიტა იუმორისტ გიორგი აფციაურს გაჰყვა ცოლად და პატარა გაბრიელის დედაა.მან გადაწყვიტა, საკუთარ მეგობრებთან ერთად ხელნაკეთი ნივთების ბიზნესი წამოეწყო და მცდელობა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ერთ-ერთ გამოფენაზე მოხვედრისას კი მისმა ნამუშევრებმა ისეთი დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ სალიტა და მისი მეგობრები უფრო სერიოზულად მუშაობასა და საკუთარი საქმიანობის გაფართოებაზეც დაფიქრდნენ.

„სალიტო“ – ასე ჰქვია ბრენდს, რომელიც სალიტა ჩუბინიძისა და მისი მეგობრების ხელნაკეთ ნივთებს აერთიანებს.

სალიტა ჩუბინიძე:

– რაღაც ახალს ვიწყებთ... სულ ვაკეთებ რაღაცებს და არ მიყვარს ერთი, ორი ან სამი საქმის კეთება მხოლოდ... რამდენიმე დღის წინ ერთი ჩემი მეგობრის მიწვევით მოვხვდი გამოფენაზე... ვღელავდი ისე, როგორც სცენაზე გასვლის წინ, მაგრამ სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, რადგან, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ იქ დიდი მოწონება და ყურადღება დავიმსახურეთ...

ხელნაკეთ ნივთებს სხვა მრავალთაგან ერთი თავისებურება ახასიათებს, გგონია, რომ მარტივად გააკეთებ შენც იმავეს, მაგრამ, როცა უშუალოდ იწყებ პროცესს, ხვდები, თუ რამდენი დრო, ენერგია, ფანტაზია და, რაც მთავარია, სიყვარული სჭირდება ამ საქმეს. თუ თავად არ მოგწონს ამ ყველაფრის კეთება და არ დებ მასში რაღაც ნაწილს შენი გულიდან, ისეთს ვერაფერს გააკეთებ, რომ ჯერ საკუთარ თავსა და შემდეგ სხვას შეიძლება მოეწონოს.

# ჩოხოსნებმა იუბილე რეზო თაბუკაშვილს მიუძღვნეს



ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასმა დაარსებიდან მე-12 წლისთავი აღნიშნა. იუბილე მათ გამოჩენილი ქართველი მწერლის, კინემატოგრაფისტისა და საზოგადო მოღვაწის რეზო თაბუკაშვილის 90-ე წლისთავს მიუძღვნეს და მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული კონკურსი „რეზო თაბუკაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ ჩაატარეს. კონკურსი განათლების სამინისტროსთან ერთად ჩატარდა. წერითი და ზეპირი ტურების წარმატებით გადალახვის შემდეგ კომპეტენტურმა ჟიურიმ საუკეთესოები გამოავლინა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში შეიკრიბა საუკეთესო 49 მოსწავლე მთელი საქართველოდან. მათ პრიზები და სიგელები გადაეცათ.

„პიონერფილმმა“ გადაიღო ფილმი, რომელიც დისკებზე ჩაიწერება და საუკეთესო მოსწავლეების სკოლებს გადაეცემა.

მომავალ წელს ჩოხოსან რაინდთა დასი ნოდარ დუმბაძის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ კონფერენცია-კონკურსს ჩაატარებს.

# გიორგი სუხიტაშვილს საახალწლო კონცერტი გაუუქმეს



მომღერალ გიორგი სუხიტაშვილს საახალწლო კონცერტი გაუუქმეს:

– ასეთი ჩამოუყალიბებელი როდემდე უნდა იყოს ეს სფერო. გირეკავენ, გითანხმებენ კონცერტს, მერე ამბობ უარს ბევრ რამეზე და მერე იგებენ, რომ ტენდერია ჩასატარებელი და თანხას ვეღარ ქაჩავენ.

უკვე მეორე წელია, გორი „მოწოდების სიმაღლეზეა“. შარშან 20 დეკემბრის მერე დამირეკეს და წელს შეთანხმებული ახლა გამიუქმეს...

ტენდერი ახლა უნდა ტარდებოდეს?

# თამარ ივერი: „შეწყდეს ხატების დამცირება-შეურაცხყოფა!“



ოპერის მომღერალი თამარ ივერი სოციალურ ქსელში ხატების უწყვეტი გავრცელებით შეწუხებულია და კატეგორიულად მოითხოვს, შეწყდეს ფეისბუქში ხატების დამცირება-შეურაცხყოფა:

– შეწყდეს ფეისბუქზე ეს მასობრივი ხატების დამცირება-შეურაცხყოფა, მათი „სმაილიკების“, ბრჭყვიალა გიფების დონეზე დაყვანა! მათი ტრიალა ნაძვის ხეებთან და თაიგულებთან ერთად გზავნა! შეჩერდით! ნუ შეგვაძულეთ უკვე რელიგიური დღესასწაულების მოსვლა!

ნუ ბღალავთ, ბილწავთ და აუფასურებთ მათ სოციალურ ქსელებში ჩამორიგება-მოხმარებით! ნუ აბრჭყვიალებთ და „ატექსტიანებთ!“ ეს დიდი ცოდვაა და მათი შეურაცხყოფა! ამასთან ერთად, ამ დოზით ხატების აქ აგრესიული ტრიალი იწვევს ადამიანის გონების ხატებით გადაღლას და მას უკვე აღარ უჩნდება ეკლესიაში წასვლის სურვილი. უკვე აქაც „ყელში აქვს ამოსული“ ეს კი უკვე საგანგაშო ტენდენციაა და ეკლესიამაც ხმა უნდა ამოიღოს ხატების ასეთ „ბრუნვაზე“ სოციალურ ქსელებში.

ბოლო-ბოლო: შეჩერდით, დაგვინდეთ! ასე რომ, ვინც მეთანხმებით, რომ უნდა შეწყდეს ეს აუტანელი ფეისბუქ „ხატომანიისა“ და სურათო-გიფომანიის აგონიური ოკეანე... დააკოპირეთ და გააზიარეთ ეს ტექსტი! ყველანი აგრესიული „ფეისბუქ ხატომანიის“ წინააღმდეგ!

# სუხიშვილები ბერლინში აფიშებზე გრუზინებად მოიხსენიეს




28 იანვარს მსოფლიო ტურნეს ფარგლებში ანსამბლი „სუხიშვილები“ კონცერტს გერმანიაში გამართავს. აფიშაზე, რომელიც გერმანიაში ქართველი მოცეკვავეების კონცერტის შესახებ იუწყება, წერია, რომ „სუხიშვილები“ გრუზინების ნაციონალური ბალეტია.

აფიშასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა ანსამბლის ხელმძღვანელობამ:

– გვინდა გამოვეხმაუროთ ბერლინში დაგეგმილი ჩვენი კონცერტის აფიშაზე საქართველოს გრუზინებად მოხსენიების ფაქტს და გაცნობოთ, რომ, სამწუხაროდ, აფიშის დიზაინი ანსამბლის ხელმძღვანელობასთან წინასწარ შეთანხმებული არ ყოფილა და ის ჩვენც სულ რამდენიმე დღის წინ ვნახეთ.

გარწმუნებთ, რომ თქვენზე არანაკლებ, თუ მეტად არა, აღშფოთებულნი ვართ ამ ფაქტით!

ჩვენ უკვე დავუკავშირდით ბერლინში ჩვენი კონცერტის ორგანიზატორ საპროდიუსერო კომპანიას, მოვითხოვეთ შეცდომის გასწორება და მივიღეთ პირობა, რომ უახლოეს დღეებში მოხდება ამ აფიშების ახლით ჩანაცვლება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*


# განცხადებები

**შეისყიდით წიგნებს!**

ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

- ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66
- ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99
- ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით ..
- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.
- სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# რეალი-ბარსას ისტორიიდან

**შაბათს ეს კლასიკოა და მთელი მსოფლიოს ყურადღება მადრიდისკენ იქნება მიპყრობილი. რეალ-ბარსელონა საფეხბურთო სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ დაპირისპირებად არის მიჩნეული.**
**პოდა, წარმოიდგინეთ, რა ხდება ხოლმე, როდესაც რომელიმე გუნდის ფეხბურთელი მეტოქე გუნდის ბანაკში გადადის.**
**ასეთი ფაქტი 20-ჯერ არის დაფიქსირებული: 17-ჯერ ბარსელონიდან რეალში, ხოლო 3-ჯერ – რეალიდან ბარსელონაში.**
**ჩვენ 5 ყველაზე ხმაურიანი გამოვარჩიეთ...**




## ბერნდ შუსტერი (გერმანია) – ბარსელონიდან რეალში

ბარსელონაში (1980-88 წლები) მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, სამჯერ – ესპანეთის სამეფო თასი, ასევე, ლა ლიგის თასი და თასების მფლობელთა თასი.

რეალთან ერთად (1988-90 წლებში) ორჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, თითოჯერ – ესპანეთის თასი და ესპანეთის სუპერთასი.

გერმანელი ფეხბურთელი ბარსელონაში 21 წლის გადავიდა. ჯერ კიდევ დასაღვინებელი, მაგრამ მოედნის უნიკალური ხედვის უნარის მქონე, უმალვე იქცა კატალონიური გრანდის შეტევის ლიდერად, რომელიც თავზარს სცემდა მეტოქეებს.

გუნდში ავტორიტეტი ჩემპიონთა ლიგის 1986 წლის ფინალის შემდეგ შეერყა, როდესაც ცვლილების შემდეგ სტადიონი დატოვა და რუმინულ სტიაუასთან გუნდის პენალტებით წაგებას აღარ უყურა.

ამის შემდეგ ბარსაში კიდევ 2 წელი დაჰყო, კლუბის გულშემატკივრებსა და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა კი სამუდამოდ მაშინ გაიფუჭა, როდესაც რეალში გადაბარგდა. შუსტერი მადრიდშიც შეტევის ლიდერად იქცა.

1990 წელს გერმანელმა რეალი დატოვა და ბარსელონაში დაბრუნება მოინდომა, მაგრამ კატალონიურ გრანდში, რა თქმა უნდა, „ძველი ცოდვები“ არ აპატიეს და შუსტერმაც სათამაშოდ ატლეტიკოს მიაშურა.

## ლუის ენრიკე (ესპანეთი) – რეალიდან ბარსელონაში

რეალში (1991-96) მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, ესპანეთის თასი და ესპანეთის სუპერთასი.

ბარსელონაში (1996-2004) ორჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და ესპანეთის თასი, თითოჯერ – ესპანეთის სუპერთასი, თასების მფლობელთა თასი და ევროპის სუპერთასი.

ლუის ენრიკე ერთ-ერთია იმ 3 ფეხბურთელიდან, რომლებმაც რეალიდან ბარსელონაში გადასვლა გაბედეს. მან საზოგადოება შოკში პირველად 1995 წელს ჩააგდო, როდესაც ჯერ კიდევ რეალის ფეხბურთელი ინტერვიუს დროს სიყვარულში ბარსელონას გამოუტყდა. უფრო ზუსტად, ენრიკემ კატალონიური გრანდი თავის მეორე სათაყვანებელ კლუბად დაასახელა, მშობლიური ხიხონის სპორტინგის შემდეგ.

ამ სიტყვების შემდეგ ლუისს მადრიდში სტვენა დაუწყეს, ერთი წლის თავზე კი, როდესაც თავისუფალი აგენტის სტატუსით რეალის უპირველესი მტრის ბანაკში გადაბარგდა, სამუდამოდ შეაჩვენეს. ფეხბურთელმა რეალის გულშემატკივრებს სანტიაგო ბერნაბეუზე გამართულ პირველსავე მატჩში გატანილი გოლით და მათკენ მოღერებული მუშტით უპასუხა.

## მიქაელ ლაუდრუპი (დანია) – ბარსელონიდან რეალში

ბარსელონაში (1989-94) ოთხჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, ერთხელ – ესპანეთს თასი და ორჯერ – ესპანეთის სუპერთასი, თითოჯერ – ჩემპიონთა ლიგა და ევროპის სუპერთასი.

რეალში (1994-96) მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი.

დანიელი ფეხბურთელი ბარსელონაში იუვენტუსიდან გადაბარგდა. მიქაელი ტურინელთა ლიდერი იყო და ასეთად იქცა კატალონიაშიც, მაგრამ მერე ძირითადში ადგილი დაკარგა.

როდესაც ლაუდრუპს კონტრაქტი ამოეწურა, რეალს მიაშურა და მასთან ერთად დაამხო კიდეც ყოფილი კლუბის ჰეგემონია ესპანეთში.

კამპ ნოუზე უკვე მეტოქის რანგში პირველად გამოსვლისას კი ლაუდრუპმა ვერ გაუძლო ტრიბუნების წნეხს და მე-60 წუთზე შეცვლა ითხოვა. აბა, როგორი საქმეა, კატალონიელი გულშემატკივრები გიფრიალებენ ბანერებს წარწერით – იუდა და სახეშეშლილები ბოლო ხმაზე გიღრიალებენ?

## ხოსეპ სამიტიერი (ესპანეთი) – ბარსელონიდან რეალში

ბარსელონაში (1919-32) ერთხელ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, ხუთჯერ კი – ესპანეთის თასის მფლობელი. მის ანგარიშზე ასევე 12 გამარჯვებაა კატალონიის ჩემპიონატში.

რეალში (1932-35) თითოჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი და ქვეყნის თასის მფლობელი.

ბარსელონის სკოლის აღზრდილი ხოსეპ სამიტიერი ერთ-ერთი პირველი და განთქმული „მოღალატეა“ რეალი-ბარსელონის დაპირისპირებათა ისტორიაში. ბავშვობიდან ბარსას გულშემატკივარი კლუბის ძირითად გუნდში დებიუტისთანავე იქცა მის ლიდერად და კატალონიის კერპად. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კლუბის მაისურით ჩატარებულ 454 მატჩში მან 333 გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით კატალონიური გუნდის ერთი-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

ფეხბურთელს ბარსელონის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა 1929 წლიდან დაეძაბა. კლუბიდან გამოსული ხმების თანახმად, სამატიერი ძალიან დიდ გასამრჯელოს ითხოვდა და ვარჯიშებსა თუ თამაშებზე თავსაც აღარ იკლავდა. ასე იყო თუ ისე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ ბარსელონამ მას ახალი კონტრაქტი ორჯერ შემცირებული ხელფასით შესთავაზა, რასაც პეპმა უარით უპასუხა. რეალმა დრო იხელთა, ბარსელონის ლეგენდა გადაიბირა და პირველსავე სეზონში მოიგო კიდეც ჩემპიონატი და თასი.

შოკირებული ბარსელონელი გულშემატკივრები შეეცადნენ, „მოღალატის“ სახელი სამუდამოდ ამოეშალათ კლუბის ისტორიიდან, მაგრამ კარიერის დასრულების შემდეგ ხოსეპ სამიტიერი ბარსელონაში დაბრუნდა და შენდობა ითხოვა.

შეწყალებულმა კატალონიური გუნდის მწვრთნელის რანგში ჩემპიონის ტიტული მოიგო და სიცოცხლის ბოლომდე იმუშავა კლუბის ტექნიკურ დირექტორად.

## ლუიშ ფიგუ (პორტუგალია) – ბარსელონიდან რეალში

ბარსელონაში (1995-2000) ორჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და ესპანეთის თასი, ერთხელ კი – ესპანეთის სუპერთასი, ასევე – თასების მფლობელთა თასი და ევროპის სუპერთასი.

რეალში (2000-05) ორ-ორჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და ქვეყნის სუპერთასი, თითოჯერ – ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი.

ფიგუ პორტუგალიური სპორტინგიდან ბარსელონაში 1995 წელს 2,5 მილიონ აშშ დოლარად გადაბარგდა. პორტუგალიელმა ნახევარმცველმა თავისი თამაშით პირველსავე სეზონში შეაყვარა კატალონიელ გულშემატკივრებს თავი. ის მალევე იქცა გუნდის ლიდერად, რამდენიმე წლის შემდეგ კი კაპიტანი გახდა.

მადრიდის რეალში მის შესაძლო გადასვლაზე ხმები 2000 წლის ზაფხულში გაჩნდა, თუმცა თავად ფეხბურთელმა უარყო ხმები და კატალონიელები დაამშვიდა.

– მერე როგორღა შემოგხედავთ თვალებში? – უთხრა ფიგუმ გულშემატკივრებს, თუმცა მალევე მადრიდში სამედიცინო შემოწმება გაიარა და რეალთან კონტრაქტი გააფორმა.

ბარსელონის ლიდერის შესანარჩუნებლად არაფრის გაკეთება შეეძლო. მადრიდელებმა კატალონიურ კლუბს 56,1 მილიონი დოლარი გადაურიცხეს, თავად ფიგუს კი – 2 მილიონი.

იმავე დღეს კატალონიელ ქომაგთა არმია ბარსელონაში ფიგუს სახლთან შეიკრიბა, მაგრამ შეიტყო, რომ ფეხბურთელი იქიდან ერთი კვირით ადრე გადასულიყო. კატალონიური გაზეთები ფიგუს სალანძღავი ეპითეტებით აჭრელდა, გულშემატკივრები წვავდნენ ყოფილი კერპის სახელობით მაისურებს, ინტერნეტში კი გაჩნდა ფლეშ-თამაშები, სადაც დავალება ფიგუს განადგურება იყო.

ლუიშისთვის ყველაზე რთული 2002 წლის 29 ნოემბერს გამართული ელ კლასიკო გამოდგა. ვის ეცალა თამაშის საყურებლად? ფანებმა პორტუგალიელზე ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს.

მთელი შეხვედრის განმავლობაში მისი მიმართულებით ათასგვარ საგანს ისროდნენ: სანთებლებს, მონეტებს, ტელეფონებს, ეგ კი არა, გაზონზე ეგდო გოლფის ბურთი, ვისკის ბოთლი და გოჭის მოჭრილი თავი...

ასევე გვინდა, ორი ისტორია გავიხსენოთ, რომლებიც ამ გუნდებს ეხება.




## დი სტეფანოს მოტაცება

1952 წელს მადრიდის რეალს 50 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მადრიდში მთელი მსოფლიოდან გუნდები მიიწვიეს და ტურნირი მოაწყვეს. მათ შორის იყო კოლუმბიური ბოგოტას მილონარიოსი, რომელმაც პირველი მატჩი შვედური ნორჩიოპინგის წინააღმდეგ გამართა.

შვედებთან მატჩში თავი გამოიჩინა ყველასთვის უცნობმა არგენტინელმა ახალგაზრდამ ალფრედო დი სტეფანომ, რომელმაც ნორჩიოპინგს დუბლი გაუტანა. ტრიბუნაზე მყოფი რეალისა და ბარსელონის სკაუტები არგენტინელით დაინტერესდნენ.

მაგრამ ვისგან უნდა შეეძინათ დი სტეფანო ესპანურ კლუბებს? მილონარიოსი ქაოტურ კოლუმბიურ ლიგაში თამაშობდა, რომლის მთავარი სტარი ბოგოტას ინდეპენდიენტე სანტა ფეს ინგლისელი ვარსკვლავი „ბოგოტას ბანდიტი“ ჩარლი მიტენი გახლდათ. ამ ჩემპიონატს ფიფა არ აღიარებდა. შედეგად ესპანელები დი სტეფანოს აღმზრდელ კლუბთან – რივერ პლეიტთან გადაამისამართეს. რივერთან ბარსა მოგვარდა და დი სტეფანო კატალონიაში გაემგზავრა.

ბარსელონაში ჩატარებული რამდენიმე ამხანაგური მატჩის შემდეგ საქმეში რეალი ჩაერთო. რეალმა 1.5-მილიონიანი წინადადება დააყენა. საპასუხოდ, ბარსამ თანხა 4 მილიონ პესომდე გაზარდა. სიტუაცია აირია.

საქმეში ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია ჩაერთო და ქვეყანაში ფეხბურთის მმართველმა ორგანომ ზოგადად უცხოელების დამატება აკრძალა, ცოტა ხანში ეს წესი გააუქმეს და კლუბებს მორიგებისკენ მოუწოდეს. ფედერაციამ რეკომენდაცია გასცა, რომ დი სტეფანოს კლუბებში მონაცვლეობით ეთამაშა – სეზონების მიხედვით. სანამ სიტუაციის დარეგულირებას მოგონილი წესებით ცდილობდნენ, მადრიდის მთავრობამ ყველაფერი მოაგვარა, ბარსა დი სტეფანოსთვის ბრძოლას გამოეთიშა და ის 4 მილიონი პესო რივერს მადრიდის რეალმა გადაუხადა.

რეალში გადასვლიდან რამდენიმე კვირაში არგენტინელმა პირველი კლასიკო ითამაშა და ბერნაბეუზე 5:0 მოგებულ მატჩში ბარსას 4 გოლი გაუტანა. 1953-54 წლების სეზონში ჯამში დი სტეფანომ 29 გოლი გაიტანა და რეალს 21-წლიანი შესვენების შემდეგ ლა ლიგა პირველად მოაგებინა.

მომდევნო სეზონში მადრიდელებმა ბარსელონას სახლში ისევ 5:0 მოუგეს, ზედიზედ მეორე ტიტული იზეიმეს და ახლადშექმნილ ევროპის ჩემპიონთა თასის (შემდეგ ჩემპიონთა ლიგა) გათამაშებაში ჩაერთვნენ. მერე რაც მოხდა, ყველამ კარგად იცის (რეალმა დი სტეფანოს დახმარებით ეს ტურნირი ზედიზედ 5-ჯერ მოიგო), განსაკუთრებით – ბარსელონაში.

## კრუიფის შურისძიება

აიაქსიდან კრუიფის გადაბირებას რეალიც ცდილობდა. სამეფო გუნდმა კრუიფისადმი ინტერესი 1-მილიონიანი ჩეკის დემონსტრირებით გამოხატა. ბარსამ აიაქსს ცოტა ნაკლები შესთავაზა და საბოლოოდ 14-ნომრიანმა მადრიდს ლა რაბლაზე ცხოვრება ამჯობინა.

კრუიფის პირველი ვიზიტი ბერნაბეუზე დი სტეფანოს ამბის ვენდეტას დაემსგავსა. ეს მატჩი ბარსას ისტორიაში ალბათ ერთ-ერთ ყველაზე დიდი ღამეა, კრუიფმა თამაში წაიყვანა – 3 გოლი შეაგდო და კატალონიელებს გასვლაზე 0:5 მოაგებინა. კრუიფის დახმარებით სეზონი ბარსამ პირველ ადგილზე დაასრულა და ლა ლიგა 14 წლის შემდეგ პირველად მოიგო.

